645
1986/4



# საქართველოს ქალი

ISSN 0321-1509

8
1986



მთათუშეთი.

ვ. გენგიურის და ვ. ცხაოშვილის ფოტო

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ოჯახი პარტიის სოციალურ პოლიტიკაში

სსრ კავშირის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში დასახულია, თვისებრივად ახალ საფეხურზე ავიყვანოთ ხალხის კეთილდღეობა. მომავალ 15 წელიწადში ნავარაუდევია გაორკეცდეს ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის გამოყოფილი რესურსების მოცულობა. 1,6-1,8-ჯერ გაიზარდოს რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე. XII ხუთწლედში მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების მოცულობა გადიდდება 20-23 პროცენტით.

ნებისმიერი ოჯახის ცხოველმოქმედების უმნიშვნელოვანესი პირობაა კეთილმოწყობილი ბინა. 1981-1985 წლებში ჩვენს ქვეყანაში საექსპლოატაციოდ გადაეცა 10 მილიონზე მეტი ბინა 552 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობი. საქართველოში შესაბამის პერიოდში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 8,6 მილიონი კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართი, რითაც საბინაო პირობები გაიუმჯობესა 700 ათასმა კაცმა.

თანამედროვე პირობებში პარტიის მთელი ყურადღება გადატანილია იქითკენ, რომ 2 000 წლისათვის პრაქტიკულად ყოველ საბჭოთა ოჯახს ჰქონდეს ცალკე საცხოვრებელი ბინა ან ინდივიდუალური სახლი. ამას უნდა შეუწყოს ხელი სახელმწიფო სახსრების ხარჯზე საბინაო მშენებლობის უფრო ფართო განვითარებამ.

ქვეყანაში ხორციელდება სოციალური პოლიტიკა, რომელიც მიმართულია მომავალი თაობის აღზრდისა და სწავლისათვის უფრო ხელსაყრელი პირობების შექმნისაკენ. ბავშვების აღზრდაში ოჯახებისადმი სახელმწიფო დახმარებაზე დამაჯერებლად მოწმობს შემდეგი ფაქტები: სკოლამდელ დაწესებულებებში მუდმივად დადის 15 მილიონი ბავშვი, გახანგრძლივებული დღის ჯგუფები ითვლის 12 მილიონ მოწაფეს. საბავშვო ბაღის თითოეული ბავშვის შენახვაზე სახელმწიფო წელიწადში ხარჯავს 500 მანეთს, საშუალო სკოლის თითოეულ მოსწავლეზე — 200 მანეთს, . უმაღლესი სკოლის თითოეულ სტუდენტზე დაახლოებით — 1200 მანეთს.

უდიდესმა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობამ, · ყოფაში ცენტრალური ·გათბობის, წყალსადენის, ელექტროობის, გაზის დანერგვამ, კომუნალური მომსახურების გაფართოებამ, საოჯახო მანქანებისა და ხელსაწყოების ზრდამ შესამჩნევად აამაღლა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების დონე, შეამსუბუქა ქალის შრომა ოჯახში. სულ უფრო უახლოვდება ერთმანეთს ქალაქის და სოფლის ოჯახები ხანგრძლივი სარგებლობის საგნების გამოყენებით, რომლებიც ამსუბუქებენ ყოფას და აკმაყოფილებენ კულტურულ მოთხოვნილებებს. ახლა თითოეული ასი ოჯახიდან სოფლად 85 აქვს ტელევიზორი, 87 — რადიომიმღები, 73 — მაცივარი, დაახლოებით — 60 — სარეცხი მანქანა.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ შრომის დიდი ნაწილი ბავშვთა აღზრდისა და მოვლისათვის, საჭმლის მომზადებისათვის, თეთრეულის რეცხვისათვის, ბინის მოვლა-პატრონობისათვის კვლავ მოდის ოჯახურ მეურნეობასა და მომსახურების ინდივიდუალურ ფორმებზე. დამღლელი შრომა მომუშავე ქალებს დღეშიართმევს 3-დან 5 საათამდე, დიასახლისებს კი — თითქმის ერთიორად მეტ დროს. ამიტომ საჭიროა ინდივიდუალური ოჯახური მეურნეობა მთლიანად შეიცვალოს საზოგადოებრივი მეურნეობით. „ქალის ნამდვილი განთავისუფლება, ნამდვილი კომუნიზმი, წერდა ვ. ი. ლენინი, — დაიწყება იქ და მაშინ, სადაც და როდესაც დაიწყება მასობრივი ბრძოლა... ამ წვრილი საოჯახო მეურნეობის წინააღმდეგ, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, მისი მასობრივი გარდაქმნა მსხვილ სოციალისტურ მეურნეობად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ახორციელებს ღონისძიებებს, რომ შემცირდეს და შემსუბუქდეს ქალის შრომა ოჯახურ მეურნეობაში, განვითარდეს ყოფის საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფორმები. ამ მიმართულებით დიდი ნაბიჯი გადაიდგმება მიმდინარე ხუთწლედში.

პარტიის მუდმივი ზრუნვის საგანია დედების მდგომარეობის გაუმჯობესება. სახელმწიფო მატერიალურად ეხმარება ქალებს, რომელთაც ჰყავთ მცირეწლოვანი ბავშვები. მათთვის საწარმო-დაწესებულებებში შექმნილია მუშაობის უფრო ხელსაყრელი პირობები, დედებს ეძლევათ შეღავათიანი შვებულება როგორც ბავშვთა მოვლისათვის, ისე დასვენებისათვის. ჩვენი ქვეყანა 3 მილიარდ მანეთზე მეტს ხარჯავს წელიწადში ოჯახების დახმარებაზე ბავშვის დაბადებასა და მოვლასთან დაკავშირებით, აგრეთვე ნაკლებად უზრუნველყოფილ ოჯახებზე, რომელთაც ჰყავთ ბავშვები.

სკკპ XXVII ყრილობამ დასახა ქალთა შრომისა და ყოფის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ამოცანა. XII ხუთწლედში გამიზნულია უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ქალებისათვის არასრული სამუშაო დღე ან შემცირებული სამუშაო კვირა, შინ მუშაობა და სხვა. დედებს გაეზრდებათ ფასიანი შვებულების ხანგრძლივობა ბავშვის მოსავლელად, აგრეთვე ანაზღაურებული დღეების რიცხვი, სანამ ბავშვი არ გახდება წლინახევრის. მათ დღეები აუნაზღაურდებათ ბავშვის ავადმყოფობის პერიოდშიც. ხელმოკლე ოჯახები, რომლებსაც ჰყავთ 12 წლამდე ასაკის ბავშვები, მიიღებენ დახმარებას. გაფართოვდება საოჯახო დასვენების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების და პანსიონატების ქსელი.

ოჯახზე სოციალისტური სახელმწიფოს განუხრელი ზრუნვის შედეგი ის არის, რომ საბჭოთა ქალები აქტიურად მონაწილეობენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. 1985 წელს მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვიდან ყველაზე მეტი ქალი იყო დასაქმებული ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში — 83 პროცენტი, ჯანმრთელობის დაცვაში, ფიზიკურ კულტურასა და სოციალურ უზრუნველყოფაში — 82 პროცენტი, სახალხო განათლებაში — 75 პროცენტი, კულტურაში — 74 პროცენტი.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტებს შორის ქალები შეადგენენ 60 პროცენტს, მეცნიერთა შორის — 40 პროცენტია.

საქართველოში 1984 წელს მუშა-მოსამსახურეთა შორის ქალები საშუალოდ შეადგენდნენ 45,8 პროცენტს, მეცნიერ-მუშაკთა შორის — 42 პროცენტს, სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტებს შორის — 52,7 პროცენტს.

სულ სხვა სურათს აქვს ადგილი კაპიტალისტურ ქვეყნებში. უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებული მონაცემებით ამერიკის შეერთებულ შტატებში ქალები შეადგენენ ინჟინერთა საერთო რიცხვში 6 პროცენტს, იურისტებს შორის — 16 პროცენტს, მეცნიერ-მუშაკთა შორის — 14 პროცენტს, დაახლოებით 80 პროცენტი ამერიკელი ქალი დასაქმებულია დაბალი ანაზღაურების თანამდებობაზე.

სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების შესაბამისად მომავალში სულ უფრო მეტად ამაღლდება ოჯახის მატერიალური კეთილდღეობა, განმტკიცდება მისი მორალური და სულიერი საფუძვლები, ფართო მასშტაბით განსაზოგადოვდება საოჯახო შრომა, რითაც თანდათან მომზადდება პირობები კომუნისტური ოჯახის ჩამოყალიბებისათვის.

ი. გვენეტაძე,
საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერული კომუნიზმის კათედრის დოცენტი.

**მაისის ბოლოს კახეთში სეტყვა მოვიდა და ხელჰყო მშრომელი კაცის ნაამაგარი — დაჯაბნა ვაზი. წლეულსაც, როგორც ყოველთვის, დიდ-პატარაიანად დაირაზმნენ მევენახეები გაჩანაგებული ბაღ-ვენახების გასაცოცხლებლად. ვაქვეყნებთ ჩანახატებს მოწინავე მევენახეებზე, საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობის დელეგატებზე.**



## ახალი საზრუნავი

მდიდარი ბიოგრაფია აქვს ვერა ბერძენაშვილს, იყალთოელების რძალს. მხოლოდ მისი საზოგადოებრივი საქმიანობის ჩამოთვლაც კმარა: რაიონული და ადგილობრივი საბჭოების რამდენიმე მოწვევის დეპუტატი, კოლმეურნეობის გამგეობის, პარტბიუროს, საბჭოს, რაიკომის წევრი. შარშან შოთა რუსთაველის სახალხო უნივერსიტეტმა სხვა გამოჩენილ ადამიანებთან ერთად იყალთოს საპატიო მოქალაქედ აირჩია.

და ყველაფერ ამასთან, ზვარშიაც მოწინავეობს.

კოლმეურნეობაში სულ პირველად მე-6 ბრიგადის წევრად ჩარიცხეს ვერა ბერძენაშვილი. იყო ბევრი წარუმატებლობა, დღედაღამ შრომა სიძნელეების დასაძლევად, ათასგვარი უკმაყოფილება, ძალზე მცირე შემოსავალი... ბედად თითქო ბუნების სტიქიაც მათი ნაკვეთებისთვის იცლიდა. ბრიგადის წევრები სხვა ბრიგადებში გარბოდნენ. მე-6 ბრიგადა დაშლამდე მივიდა, მაგრამ ვერას არც უფიქრია ბრიგადიდან წასვლა. გამაგრდა და... მალე სხვებიც მოაბრუნა. — ვის ვემდურით, დოვლათი საკუთარი შრომით უნდა შევქმნათ, ანაზღაურებაც კარგი გვექნება და პრემიებს ჩვენც მივიღებთო. ასე გამთელდა ბრიგადა, ხალხი უკან დაბრუნდა. დღეს მიხეილ ბაჩიაშვილის ბრიგადა ერთ-ერთი მოწინავეა კოლმეურნეობაში. ახლა კიდეც რომ ეხვეწონ, ფეხს არავინ მოიცვლის იქიდან.

კომუნისტ ვერა ბერძენაშვილის პირადი მაგალითი ყველას რწმენას უმტკიცებს, მისი პოზიცია ყოველთვის გავლენას ახდენს თანამოსაქმეთა მორალურ-ფსიქოლოგიურ განწყობილებაზე. ბრიგადაში წინ წამოიწია ადამიანის ფაქტორმა. დღეს სხვა ხალისით შრომობენ ბრიგადის წევრები: მარიამ ბაჩიაშვილი, ეკატერინე ყურშიტაშვილი, ელენე გიგაშვილი, ლამარა ბაჩიაშვილი, რუსუდან გიგაშვილი და სხვები. ვალდებულება აქვთ აღებული აგროვადებში და მაღალხარისხოვნად შეასრულონ ყველა მიმდინარე სამუშაო, დაამარცხონ სეტყვა. მათი სიტყვისა და საქმის ერთიანობაზე მეტყველებს „გორგორებში" და „გოქბოიანში" გადაჭიმული ბრიგადის სრულმოსავლიანი და ახალშენა ზვრები. ბრიგადელებმა იციან, რომ „გორგორების" ვენახების ღვინომ ნიკოლოზის დროს ოქროს მედალი მიიღო. თავს როგორ შევირცხვენთ, ყოველთვის მაღალხარისხოვანი ყურძენი უნდა ვაწარმოოთო.

ბრიგადისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიდი ყრილობების შემდგომი პერიოდი. რაც მთავარია, რაიონის ერთერთი მოწინავე კოლმეურნეობა, რომლის გამგეობის თავმჯდომარეც გურამ შათირიშვილია, ამჟამად სულ სხვა, ახალი ამოცანების წინაშე დგას.

მე-6 ბრიგადის წევრებმა შეისწავლეს და ერთხულოვნად მოიწონეს ყრილობის მასალები. ახლა მუშაობის ყველა უბანზე ყურადღების ცენტრშია ორგანიზებულობა და დისციპლინა. პარტიის ახალ პროგრამაში დიდი ადგილი ეთმობა ყველა მშრომელის, შრომითი კოლექტივის აქტიურ, დაინტერესებულ მონაწილეობას სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხთა გადაწყვეტაში, ქალთა შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში, ქალის სახელმწიფოებრივი და საოჯახო საქმიანობის გონივრულ შეხამებაში.

ქალის ყველაზე წმინდა მოვალეობა — დედობის მისიაც სანაქებოდ შეუსრულებია ქალბატონ ვერას. ჩემმა შვილებმა ვენახში აიდგეს ფეხი, წამოიზარდნენ თუ არა, გვერდში მედგნენ და შრომობდნენო. ასე ეზიარნენ ისინი ვაზის სიყვარულს. უფროსი ვაჟი გელა მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს ტექნიკოსია, ნინო — პედაგოგია, მაია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობს. თავისუფალ დროს კვლავ დედის გვერდით მიუყვებიან ვაზთა რიგებს.

ვერას და გიორგის შარშანდელმა შრომის შემოსავალმა კოლმეურნეობიდან 7.173 მანეთი შეადგინა. დიდია მათი საკარმიდამო შემოსავალიც. ოჯახში სასურსათო პროგრამა გადაწყვეტილია. ვენახიდან, ბაღ-ბოსტნიდან უხვ მოსავალს იღებენ. შემოგარენში გაშვებულია ყველა სახის და ყველა ასაკის შინაური ცხოველი და ფრინველი. ნამატს სახელმწიფოსაც აბარებენ. ხუმრობენ კიდეც, მთელი სოფელი ამათი რძე-მაწვნით იკვებებაო.

ქალბატონ ვერას „დედას პურებმა" ხომ ბევრჯერ მოხიბლა სტუმრები. იყალთოს აკადემიაში მოწყობილ ეროვნულ სანახაობათა შორის უნახავთ ქართულ თონეში ერთი შემოლაწუნებით როგორ შემოუტარებია „შოთის" პური მთელი წრისათვის. ესეც ხელოვნებაა! სოფელში არც ლხინი და არც მწუხარებაა უმისოდ. ყველას მიმხედი და თანამგრძნობია ვერა.

გიორგი ბერძენაშვილის ოჯახი სტუმართმოყვარეობითაა ცნობილი. ყველას მოუხარია აქეთ, ბარაქიანი, კეთილი, გულმხიარული დიასახლისისაკენ. მათი ოჯახის ხშირი სტუმრები არიან გამოჩენილი მწერლები, საზოგადო მოღვაწენი. საოჯახო ალბომში შეხვდებით გამოჩენილ ადამიანებთან გადაღებულ სამახსოვრო სურათებს.

...ახლა ქალბატონ ვერას ნატვრა ერთია — შვილებმაც სახელოვნად მოიხადონ ვალი ქვეყნისა და ხალხის წინაშე, დედ-მამას გაეჯიბრონ სამშობლოს და ადამიანების სიყვარულში.

ლილი ნატროშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## მისი ხუთწლედი

ზამთრის მზიანი დღეა. შირაქის ველზე კი კავკასიონის მთებიდან ისეთი მწველი სუსხი უბერავს, რომ ადამიანი ჯიბიდან ხელს ვერ ამოიღებს. კაფანდარა ქალი ვაზებს შორის ჩამდგარა და სიცივეს აინუნშიც არ აგდებს. ვაზის მაკრატელს ხელში მარჯვედ ატრიალებს და ვენახს გულიანად სხლავს. ის მთელი არსებით მისცემია საყვარელ საქმეს.

ეს წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოს კოლმეურნეობის ვენახებია 770 ჰექტარზე რომ გადაჭიმულა. შარშან აქაურმა მევენახეებმა 9.915 ტონა ყურძენი მიჰყიდეს სახელმწიფოს, წლიური გეგმა 1.800 ტონის გადაჭარბებით შეასრულეს და საკოლმეურნეო სალაროში 5 მილიონზე მეტი მანეთი შეიტანეს. ამ წარმატებაში მეცხრე ბრიგადასაც უდევს წილი, რომელსაც გივი კობაიძე ხელმძღვანელობს. ბრიგადა 45 ჰექტარ ვენახს უვლის. შარშან ამ ურწყავი ვენახის თითოეულ ჰექტარზე 7,7 ტონა ყურძნის მოყვანა დაუგეგმეს. დავალების შესასრულებლად მევენახეებმა მუყაითად იშრომეს. გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს და სამშობლოს მარანში 645 ტონა ყურძენი მიიტანეს. ყველა მევენახემ კარგი მოსავალი მოიყვანა. მაღალი მოსავლის ოსტატის სახელი კი მაინც იმ მევენახე ქალმა დაიმსახურა, ამ სიცივე-ყიამათში ვენახში რომ ტრიალებს და ვაზს სხლავს. ეს ახალგაზრდა კომუნისტი მაყვალა გოგოჭურია, რომელმაც შარშან თითოეული ჰექტრიდან 15 ტონამდე ყურძენი მოიყვანა. ისიც ისეთი გვალვის დროს, როგორიც იმ ზაფხულს იდგა.

მაყვალა გოგოჭურმა საშუალო სკოლა თელავში დაამთავრა და კომკავშირელმა გოგონამ სოფელ თეთრწყლების კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა. ახალბედა მეცხოველე მალე დაეუფლა პირუტყვის მოვლა-პატრონობის წესებს და მოწინავე მწველავი კომუნისტური პარტიის რიგებში მიიღეს.

1973 წელს მაყვალა ლუკა ბურდულის მეუღლე გახდა და მუდმივ საცხოვრებლად სოფელ არხილოსკალოში დასახლდა. შეეძინათ ბავშვები და სანამ პატარა მურადი და მაია წამოიჩიტებოდნენ, მაყვალა მხოლოდ დიასახლისობდა. ხოლო 1980 წელს, როცა კოლმეურნეობამ ზედ მისი საკარმიდამო ნაკვეთის ბოლოს ახალი ზვრები გააშენა, მეზობლებთან ერთად ორი ჰექტარი ახალშენი მაყვალამაც გაიპიროვნა.

მართალია, ვაზის მოვლა არ ვიცოდი, — ამბობს მაყვალა, მაგრამ რაკი ბალღები წამომეზარდნენ, სახლში გული აღარ მიდგებოდა, საერთო, სახალხო შრომისაკენ მეწეოდა. ვიფიქრე ადამიანის გაუკეთებელი რა უნდა იყოს მეთქი. იმასაც გავუწიე ანგარიში, რომ კოლმეურნეობაში ვენახის ფართობი იზრდებოდა, იმჯერად სავენახე მექანიზაციაც ნაკლები იყო და მუშახელიც არ გვყოფნიდა და მე როგორც კომუნისტს ასეთ დროს შინ ჯდომის უფლება აღარ მქონდა. ამიტომ ბევრი აღარ მიფიქრია და ვენახი გაბედულად გავიპიროვნე. ამ ნაბიჯის გადადგმაში ისიც მეხმარებოდა, რომ ჩემი მამამთილი უშანგი ბურდული უკვე გამოცდილი მევენახე იყო და საკუთარი დამრიგებელი მეყოლებოდა. მართლაც, ყოველთვის გვერდზე მედგა მამამთილი და მასწავლიდა, თუ რომელ ვაზს როგორ უნდა მოვპყრობოდი.

ვაზი რომ მეოთხე წლისა გამხდარა, მაყვალა უკვე გამოცდილ მევენახეებს ამოდგომია გვერდით. იმ წელიწადს თითოეული ჰექტრიდან 5 ტონა ყურძენი მოუყვანია და შრომის ძირითადი საზღაურის გარდა 500 მანეთი ჯილდოც მიუღია.

შარშან თითოეულ ჰექტარზე 77 ცენტნერი ყურძნის მოყვანა დაუგეგმეს. მაყვალას ყველა სამუშაო ხარისხიანად ჩაუტარებია, მაგრამ მტევანი ყვავილობაში რომ შესულა, მას შემდეგ არხილოსკალოელთა ზვრებში ნამი არ ჩამოვარდნილა. გვალვა თანდათან გამძვინვარებულა და საჭირო გამხდარა დაუცხრომელი მუშაობა არსებული მოსავლის შენარჩუნებისა და ვაზის გადარჩენისათვის.

იმ მძიმე დღეებში, მექანიზატორები გაბედულად ამოუდგნენ მხარში და ერთი მტკიცე მებრძოლი რაზმი შეიქმნა გვალვის წინააღმდეგ საბრძოლველად. ნიადაგში გაზაფხულზე მოსული ნალექებისგან დაგროვილი ტენი რომ შეენარჩუნებინათ, კულტივაცია შვიდჯერ ჩაატარეს, ვაზის ძირებიც გააფხვიერეს. მწკრივთაშორისები სამჯერ ხელითაც გათოხნა მაყვალამ, რომ ბალახი არ წამოსულიყო და ვაზისთვის ტენი არ წაერთმია.

მთელ ზაფხულს არ ეძინათ მექანიზატორებს. არ ეძინა მევენახე კომუნისტ მაყვალა გოგოჭურსაც, — დღისით ჩვილი ყრმებივით ვაზებს დასტრიალებდა თავს, ღამით კი — ოჯახსა და ქმარ-შვილს. საერთო საქმესაც ასწრებდა და საოჯახოსაც. დღესაც ასეა, 2 ჰექტარი საკოლმეურნეო ნაკვეთიც წესრიგში აქვს და მოსწავლე შვილებსაც საუკეთესოდ ზრდის. არც პარტიულ კრებებზეა უბრად და ერთდროულ პარტიულ დავალებებს კომუნისტური პრინციპულობით ასრულებს.

ახალი ხუთწლედის პირველი წლის მოსავლისათვის მუშაობა მაყვალამ შარშანდელი რთვლის დამთავრებისთანავე დაიწყო. სად ამოსაყენებელი სარი იყო მორყეული, სად ვენახის თავის დედაბოძი იყო შესაცვლელი. სად ტრაქტორს მავთული გაეწყვიტა, ზოგან კი მოშვებულიყო და დაჭიმვას მოითხოვდა. ყველა ეს სამუშაო მაყვალამ ზამთრის დადგომამდე მოითავა. მექანიზატორებმა კი ვენახში სასუქი შეიტანეს და ნიადაგი მოხნეს.

...იმ სუსხიან დღეს, როცა მაყვალა გოგოჭური ვენახში ვნახეთ, იგი საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობის დელეგატად ახალარჩეული იყო. მისი ზვარი პატარძლის ხელით დალაგებულ ლამაზ ოთახს ჰგავდა. თვითონ კი შრომის ოფლით შეფაკლულ სახეზე ბედნიერების ღიმილი დასთამაშებდა.

უდიდეს პატივად მიაჩნია მაყვალას, რომ რაიონის კომუნისტებმა შრომა დაუფასეს, ყრილობაზე გაგზავნეს, იქ მიღებული შთაბეჭდილებები ჯერ კიდევ ახალია მისთვის.

მთელი წლის მანძილზე ვენახს ცდას არ დავაკლებ, რომ ახალი ხუთწლედის პირველი წელიწადი მაღალი მოსავლის მოყვანით აღვნიშნო, — ამბობს დელეგატი.

გიორგი გოჩიტაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „გნებავთ? ინებეთ!“



მ. სეროფიანი



ლ. ლელუაშვილი

დ. იაკობაშვილის ფოტოები

ასეც ხდება — საწარმო გეგმებს ასრულებს, გარდამავალ დროშებს იღებს, შრომის ნაყოფიერების, პროდუქციის თვითღირებულების და სხვა მაჩვენებლებიც თავის რიგზეა; ის კი, ვისთვისაც ილვწიან, ვისაც იგივე წარმოების ენაზე მომხმარებელს ეძახიან, ვინც გარჯის ნაყოფი საბოლოოდ უნდა მოიწონოს და მოიხმაროს, დახლთან უკმაყოფილო სახით მხრებს იჩეჩავს და თუ მაინც ყიდულობს ნაწარმს, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა გზა არა აქვს, სჭირდება, მით უმეტეს, როცა ეს საქონელი ყოველდღიური მოთხოვნილებისაა.

**ქალის გარდერობი ხომ უწინდოდ წარმოუდგენელია. წლის უმეტეს დროს გვჭირდება იგი. ამასთან, რამდენი ქალიც არის,**



მკერავი ა. პაპაშვილი და საამქროს უფროსი ლ. შილაგაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმდენი განსხვავებული გემოვნებაა. ზოგს წინდა ურჩევნია, ზოგს — კოლგოტკები, ზოგს ღია ფერი მოსწონს, ზოგი მუქს აძლევს უპირატესობას. ახალგაზრდობა ამ ბოლო წლებში უფრო ფერადს ეტანება და ა. შ. მალაზიაში კი რაც აქვთ, იმას გვთავაზობენ ერთი და იგივე არც თუ მოკრძალებული ქვეტექსტით — „გნებავთ? ინებეთ, არადა"... ამის გამო სამამულო წარმოების წინდების ხარისხზე პრეტენზიას უკმაყოფილებაც ემატება და გალიზიანებული ქალი მალაზიიდან მალაზიაში დადის სასურველი ფერის თუ ზომის წინდის შესაძენად.

— სწორია. პრეტენზიები ჩვენს მიერ გამოშვებული პროდუქციის მისამართით სამართლიანია და ჩვენი მომხმარებლის უკმაყოფილებაც — საფუძვლიანი, — ამბობს თბილისის წინდების საწარმოო გაერთიანება „კრწანისის" დირექტორი უშანგი ქართველიშვილი. — ამ პრობლემას უამრავი წახნაგი აქვს, ზოგი მიზეზი ჩვენგან მომდინარეობს, ზოგი ჩვენგან დამოუკიდებელია.

პრობლემათა შორის უმთავრესი მაინც ნედლეულის მოწოდებაა. არ მოდის ნედლეული. საწარმო ჩერდება. მეტი გზა არ არის, მანქანები სხვა ასორტიმენტზე უნდა გადაიწყოს. ამას უამრავი დრო მიაქვს. დიდია ნედლეულის დანაკარგები. საკმარისია აღინიშნოს, რომ თითოეული მანქანის გადაწყობას დღე-დღენახევარი სჭირდება, სულ კი 1600 მანქანაა გადასაწყობი. აი რა ვეებერთელა სიძნელის წინაშე აყენებს მთელ კოლექტივს ერთერთი მტკივნეული საკითხი — შეფერხება ნედლეულის მიწოდებაში.

ახლა, რაც მოდის, იმის ხარისხი როგორია? ზოგჯერ მიღებულ ძაფს სულ არა აქვს ჭიმვადობა. მისგან მოქსოვილი წინდა პირველივე ჩაცმაზე შეიძლება გაიხეს.

ყოველივე ამას ადგილობრივი მიზეზები ემატება — ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევა, შრომის დისციპლინის დაუცველობა. მაგრამ ჩვენს ქალებს მიზეზები სულ არ აინტერესებთ. მათ ხარისხიანი პროდუქცია უნდათ, თავიანთი გემოვნების შესაფერისი — გამძლე, ლამაზი წინდები. ამიტომ უფრო საინტერესო ის არის, თუ რა კეთდება საამისოდ. საკითხი ხომ ასე დგას დღეს: უნდა გარდავქმნათ მუშაობა, მკვეთრად გავაუმჯობესოთ საბოლოო შედეგები.

## ● საშუალო არითმეტიკის მიღმა

საშუალო არითმეტიკული ბევრ სფეროში საუკეთესო გამოსავლად არის მიჩნეული. ერთი საწარმო რომ გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს, მეორე სადღაც კუდში მიჩანჩალებს, საშუალო არითმეტიკულით კი საერთო სფეროში ყველაფერი რიგზეა, სურათი ნორმალურია. მაგრამ ახლა იმ მომხმარებელს ჰკითხეთ, რომელიც ჩამორჩენილის პროდუქციას ყიდულობს. დაახლოებით ასევეა ადგილებზე, საწარმოებშიც. ერთი ბრიგადის, ცვლის თუ ცალკეული ადამიანის თავგამოდებული საქმიანობა საერთო მაჩვენებელზე დადებითად მოქმედებს და საბოლოო ანაზღაურებაც ამის მიხედვით არის და არა თითოეულის დამსახურებისამებრ. გარდა ამისა, ყურადღება ძირითადად საერთო პროდუქციის გეგმის შესრულებაზეა გადატანილი და კონიუქტურას ნაკლები ყურადღება ექცევა. ეს არის მომხმარებლის როგორც ხარისხისადმი, ისე ასორტიმენტისადმი სამართლიანი პრეტენზიის მიზეზი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ ცოტა ხნის წინათ მიღებული დადგენილების პრაქტიკული განხორციელება ამ პრობლემებს დადებითად გადაწყვეტს. საქმე ის გახლავთ, რომ საერთო პროდუქციის გეგმის შესრულება მძიმე ტვირთად აღარ დააწვება საწარმოს. გამოუშვებენ მხოლოდ ნატურ პროდუქციას, რომლის რაოდენობას, ასორტიმენტს სავაჭრო ორგანიზაციების დაკვეთა განსაზღვრავს. ვაჭრობის დარგის მუშაკები კი თავის მხრივ მხოლოდ მომხმარებლის მოთხოვნილების საფუძვლიანი შესწავლის და ანალიზის შედეგად შეადგენენ ამ დაკვეთას. ეს ადგილებზე სწრაფი, გონივრული მანევრირების საშუალებას იძლევა. საბოლოო ანგარიშით მიღწეული იქნება ყველაზე მთავარი — კონვეიერიდან დახლებზე დროის მცირე მონაკვეთში მოხვდება ის საქონელი, რომელზეც განსაკუთრებული მოთხოვნილებაა. ამასთან გათვალისწინებულია სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნა — უზრუნველყოფილ იქნას „შრომის ტევადობასა და ხარისხზე ხელფასის ზუსტი დამოკიდებულება", ე. ი. შრომა ყველას დამსახურებისამებრ აუნაზღაურდება.

## ● მეცნიერთა გარანტია

წინდების ქსოვა უფაქიზესი საქმეა. ტექნოლოგიური რეჟიმის უმცირესი დარღვევა, უბრალოდ, ქსოვილზე უხეშად ხელის შევლებაც კი უკვე წუნს იწვევს. საამქროს მიკროკლიმატი და ფარდობითი ტენიანობაც კი დაცული უნდა იყოს, რომ ხარისხიანი პროდუქცია მივიღოთ. აქ კი 22-24 გრადუსის ნაცვლად 40 გრადუს სიცხეში მუშაობენ, რაც თავისთავად ხარისხზე ცუდად მოქმედებს.

მაშველად მეცნიერება მოვიდა. საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შემუშავებული პროექტის მიხედვით დაამზადებინეს მცირეგაბარიტიანი სამაცივრო დანადგარი, რომელიც ტემპერატურის და ფარდობითი ტენიანობის პრობლემას სრულად მოაგვარებს. ასეთია მეცნიერთა გარანტია.

იგივე პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან თანამშრომლობის შედეგია პნევმოტრანსპორტიორი, რომლის საშუალებითაც ერთი საამქროდან მეორეში საქონელს ხელით კი აღარ გადაზიდავენ, როგორც ადრე, არამედ სპეციალური ხელოვნური ტყავისგან დამზადებული ელასტიური კონტეინერით. ეს ხელით შრომასაც შეამცირებს და ტრანსპორტირების დროს ქსოვილის დაზიანების შემთხვევებსაც, რაც ადრე არც ისე იშვიათი იყო. ესეც მეცნიერების და წარმოების ურთიერთკავშირის პოზიტიური შედეგია.

## ● მთავარია ადამიანი

რაც არ უნდა თამამად ამოძრავდეს ეკონომიკური ბერკეტები, რაც არ უნდა მოქნილი გახდეს ადგილებზე მართვა, ადამიანის ფაქტორი მაინც უმთავრესია. ტექნიკის უკანასკნელი ნიმუშებიც ვერაფერს უშველის, თუ კაცმა გულით არ აკეთა საქმე. დაუდევრობიდან ტექნოლოგიური პროცესის დარღვევამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია. ამ პროცესის დარღვევას კი ჯაჭვური რეაქცია და საბოლოო ანგარიშით უხარისხო პროდუქცია და ათასობით ადამიანის გულისწყრომა მოსდევს. წარმატების ანატომია ერთნიშნა არ არის, მრავალგანზომილებადია და აქ ერთ-ერთი უმთავრესი სწორედ საქმისადმი ადამიანის დამოკიდებულებაა. კოლექტივში არიან მუშაკები, რომელთა ნახელავს წუნი არ დაედება, სამღებრო საამქროს შემორთქლავმა ლამარა ლელუაშვილმა წინა ხუთწლედში ორი ხუთწლიანი გეგმა შეასრულა.

— როგორ მოახერხეთ ეს? — ვკითხეთ ლამარას.

— რა ვიცი, ვმუშაობ, დროს არ ვაცდენ, მიყვარს, რასაც ვაკეთებ.

დროს თუ დააფასებ, თვითონაც დაგიფასებს, ათმაგად აგინაზღაურებს გარჯილობას. სამკერვალო საამქროს მკერავმა აზა პაპაშვილმაც კარგად იცის დროის ყადრი, ერთ ხუთწლედში ორი გეგმა შეასრულა, თავდაუზოგავად შრომობს, თვეში 300 მანეთზე მეტი გამოსდის გამომუშავება. მედიკო სეროფიანი კი საკუთარი მეთოდით მუშაობს, ისე დახვეწა მუშაობის მეთოდი, რომ მანქანას არ აჩერებს, ხელის სისწრაფე მანქანისას მიყვება, დროით უმარჯვებს ქსოვილს. საბოლოო ანგარიშით ყოველდღიურ გეგმას 125-130 პროცენტით ასრულებს. დღეში 320 ცალი კოლგოტკის ნაცვლად 480 ცალს კერავს.

სამუშაო დროის დაზოგვის ხარჯზე აღწევენ საუკეთესო მაჩვენებლებს მუშაობაში საქსოვი საამქროს მქსოველები ევა ქოროღლიშვილი, ნინო კაციტაძე, მარინე ბროევა, ლალი ბედელაძე, მანანა ქორიძე.

## „რომელს ინებებთ?"

საწარმო უკეთესი ხვალინდელი დღის რწმენით ცხოვრობს. ეს კი საქმის ნახევარია. ამას კონკრეტული ღონისძიებებიც ემატება და სასიკეთო გარდაქმნაც შორს როდია. საქმიანობა ნელნელა გადადის ახალ რელსებზე, ისე რომ გაისიდან გარდაქმნის სიკეთე კონკრეტულად უნდა იხილოს მომხმარებელმა. და მაშინ დახლის მუშაკი უსიამოვნო მოსასმენ ფრაზას კი არ მიაგებებს მყიდველს, არამედ სურვილისა და გემოვნების შესაფერის ლამაზ, მოდურ, გამძლე რამდენიმე წინდას გადმოუღებს და ეტყვის: — რომელი გირჩევნიათ, ინებეთ!

გალინა ხარებაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# როცა თბილისში ცხელა...

მოსახლეობის შრომის, ყოფისა და დასვენების საუკეთესო პირობების შექმნა, ყველა სახეობის მაღალკვალიფიციურ სამედიცინო მომსახურებაზე მისი მოთხოვნილების საყოველთაო და სრული დაკმაყოფილება სკკპ პროგრამაში გამოცხადებულია პარტიის მოღვაწეობის უზენაეს მიზნად. აქ, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კურორტების, საოჯახო დასვენების სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და პანსიონატების ქსელის შემდგომ განვითარებას.

თბილისს ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები აქვს საკურორტო ქსელის, აგარაკზე მკურნალობის, ანუ კლიმატოთერაპიის ეფექტური განვითარებისათვის. მისი საგარეუბნო კურორტები გაშლილია სულ რაღაც 20-30 კილომეტრზე, რაც იძლევა წარმოებისაგან მოუწყვეტლივ დასვენების საშუალებასაც.

კოჯორი და კიკეთი, წყნეთი და მანგლისი ზომიერი მიკროკლიმატით, საშუალო მთიანი რაიონების ჰავით, ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური პირობებით გამორჩეული კურორტებია. პრეტენზიები მათ მიმართ ბევრია, თუმცა ისინი უფრო მეტი იყო ამ ორი წლის წინათ.

ბევრი ჩვენი კურორტი, — განაცხადა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ო. ჩერქეზიამ, — არსებითს მატერიალურ და ტექნიკურ სიძნელეებს განიცდისო. ეს ეხება თბილისის საგარეუბნო კურორტებსაც. ცუდია მათი მატერიალური ბაზა. მოსაგვარებელია სასმელი წყლით მომარაგების, გარეგანათების, სატელეფონო კავშირის, კანალიზაციის, გზების, კვების პროდუქტებით მომარაგების, ამორტიზებული შენობების შეცვლის და სხვა უამრავი საკითხი. არსებული რეზერვუარები მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას წყალზე. 1977 წლიდან ლაპარაკია არტეზიულ ჭებზე, მაგრამ ამ იდეამ ვერავინ ვერ დააინტერესა. საქმე იქამდე მივიდა, რომ უძველესი კურორტი მანგლისი, რომელიც მთის კურორტებს შორის ერთ-ერთ პირველ ადგილზეა კლიმატური მაჩვენებლებით, მიტოვებულ, იავარქმნილ დაბას დაემგვანა.

მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ მთელი რიგი სამინისტროები და უწყებები სუსტად მონაწილეობენ კურორტის კეთილმოწყობაში, ნაკლებად ზრუნავენ სააგარაკო ფონდის დაცვაზე, არამეურნეობრივ დამოკიდებულებას იჩენენ კურორტზე არსებული თავიანთი ობიექტებისადმი. მაგრამ უმთავრესი მაინც უწყებრიობა, პარალელიზმი, ძალებისა და სახსრების დაქსაქსვაა საკურორტო მშენებლობაში.

1983 წლიდან დამოუკიდებელ ბალანსზე საქმიანობას შეუდგა ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველო და საქმეს გამოსწორება დაეტყო. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1985 წლის 12 ივლისს მიიღო დიდმნიშვნელოვანი დადგენილება „ქ. თბილისის საგარეუბნო კურორტების კეთილმოწყობისა და შემდგომი განვითარების შესახებ“. დადგენილება ავალებს შესაბამის ორგანოებს კურორტების განვითარების გენერალური გეგმების დამუშავებას 1986-1990 წლებისათვის, ზოგიერთი უკვე არსებული გეგმის კორექტირებას, კურორტებზე სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებას, შინაური პირუტყვის შენახვის წესების დაცვას, ეზოებისა და ღობეების წესრიგში მოყვანას, ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოსათვის კაპიტალურ დაბანდებათა სათანადო ლიმიტების გამოყოფას ამორტიზებული სააგარაკო სახლების ლიკვიდაციისა და მათ ნაცვლად ახლის მშენებლობისათვის, კურორტთა პროფილაქტიკური მიზანმიმართულების გაძლიერებისათვის.

განსაკუთრებით ფართო მასშტაბის ღონისძიებებია დასახული მანგლისის განვითარების გენერალური გეგმით. კურორტის ცენტრში, ფიჭვის ორი მოზრდილი კორომიდან ზედა კორომის ტერიტორია დაეთმობა ბავშვთა მუდმივმოქმედ სანატორიუმებს, აგრეთვე — სკოლას 8-15 წლის ასაკის სნეული ბავშვებისათვის. ქვედა ფიჭვნარის ტერიტორიაზე მოეწყობა ბავშვთა გამაჯანსაღებელი, დასასვენებელი და კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებები, დედათა და ბავშვთა პანსიონატები. 1987-90 წლებში რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები წილობრივი მონაწილეობით ააშენებენ საოჯახო ტიპის 250 ადგილიან დასასვენებელ პანსიონატს და 150 ადგილიან ბავშვთა სანატორიუმს, კაპიტალურად შეკეთდება ან რეკონსტრუქცია ჩაუტარდება ყველა საავარაკო სახლს, კეთილმოეწყობა გზები.



ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე გადადგა სერიოზული ნაბიჯები კურორტების კეთილმოსაწყობად საკურორტო სამმართველოსთან შექმნილმა სარემონტო სამშენებლო უბანმა. სეზონი თბილისის საგარეუბნო კურორტებზე ჩვეულებრივ პირველი ივლისიდან დაიწყო, მაგრამ მზადება სეზონისათვის უკვე დიდიხანია მიმდინარეობს. წლეულს საგარეუბნო სააგარაკო სახლებს შეემატება 38 ფინური ტიპის კოტეჯი, რომელთა დამონტაჟება დამთავრდა სეზონისათვის. ამდენი სახლი წლების მანძილზე არ შემატებია საგარეუბნო კურორტებს. ეს სულ ცოტა 60 ოჯახით გაზრდის დამსვენებელთა რაოდენობას. კეთილმოეწყობა კურორტების გარექუჩები, წყალგაყვანილობა, კანალიზაცია.

მანგლისში აშენდა ახალი ესტრადა, ბავშვთა კაფე, სანაყინე და სასადილო, კეთილმოეწყო სკვერი. დამთავრდა ახალი ავტომატური სატელეფონო სადგურის მშენებლობა 700 აბონენტისათვის. აღადგინეს ფიჭვნარის გარეგანათების ქსელი. საშეფო ხელშეკრულების საფუძველზე „საქგანათება“ უფასოდ ემსახურება დაბის გარეგანათებას.

კოჯორში აშენდა ახალი საზაფხულო კინოპავილიონი, პოლიკლინიკის ახალი შენობა, კეთილმოეწყო სკვერი — ახალი ატრაქციონებით დამშვენებული, ლამპიონებით განათებული, ლამაზად მოკირწყლული — ის აუცილებლად მოეწონებათ ბავშვებს. ცეკავშირის გამგეობამ კოჯორში ააგო წყალსაცავი, რომელიც საგრძნობლად გააუმჯობესებს კურორტის წყალმომარაგებას.

კიკეთში მოეწყო ახალი ატრაქციონი ქარხნის მარკით, რომელმაც შეცვალა პრიმიტიული კერძო საქანელა და კარუსელი.

წყნეთის ტყე-პარკი გადაეცა თბილისის კურორტების სამმართველოს და მოეწყო სასპორტო მოედნები, ატრაქციონები, ბავშვთა კაფე. ტყე-პარკის კეთილმოწყობის პროექტს ამუშავებს თბილისის კეთილმოწყობის სამმართველოს საპროექტო კანტორა. დღის წესრიგშია სანატორიუმების „მზიურისა“ (წყნეთი) და „ალიონის“ (კოჯორი) დედათა და ბავშვთა სანატორიუმებად გადაკეთების საკითხი.

რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრო და აგრომრეწვი ახორციელებენ ღონისძიებებს საგარეუბნო კურორტების სურსათით მომარაგების გასაუმჯობესებლად.

საგარეუბნო კურორტთა ხვალინდელი დღე გამოიკვეთა აგრეთვე საკურორტო მშენებლობის მუშაკთა რესპუბლიკური აქტივის კრების გადაწყვეტილებაშიც, რომელიც ითვალისწინებს საკურორტო საქმის ორგანიზაციის ძირეულ გარდაქმნას.

თბილისის საგარეუბნო კურორტები ძირითადად დედაქალაქის მოსახლეობას ემსახურება. ყოველწლიურად ამ აგარაკებზე ასი ათასამდე თბილისელი ისვენებს. წლეულს იქ ჩერნობილელებმაც დაისვენეს.

x x x

საგარეუბნო კურორტების სიმწვანეში ჩაფლულან პოეტური სახელწოდების პიონერთა ბანაკები და ბავშვთა დასასვენებელი სახლები: „მზიური“, ცისკარი“, „გაზაფხული“, „ალიონი“, „დილა“, „ცისარტყელა“, „განთიადი“, „წითელი მიხაკი“, „ნაკადული“, „ფიჭვნარი“, „მეგობრობა“, „შევარდენი“... უახლოეს მომავალში მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება და მათ დასახელებაში გამოხატული შინაარსი უფრო მეტი იმედით აივსება.

**მანანა გელოვანი**

# შეხვედრა მკითხველებთან

**ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციის კოლექტივი შეხვდა ზესტაფონის რაიონის მოწინავე ქალებს, მრავალშვილიან დედებს, ჟურნალის მკითხველებს.**

**შეხვედრა მიეძღვნა სკკპ 27-ე ყრილობაზე მ. ს. გორბაჩოვის პოლიტიკური მოხსენებიდან გამომდინარე ქალთა, ოჯახის პრობლემებს და „საქართველოს ქალის“ ამოცანებს.**

**შეხვედრაზე შესავალი სიტყვა წარმოთქვა პარტიის რაიკომის მდივანმა ნათელა სალაძემ. აზრი გამოთქვეს: ქალთა საბჭოს თავმჯდომარემ მანონ კაცაძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოო გაერთიანების სამკერვალო საამქროს მუშამ მ. ქურციკიძემ, მასწავლებელმა მ. კახიძემ, სამკერვალო ფაბრიკის ქალთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. მელაძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, კოლმეურნე ნ. ქარქაშაძემ, ათი შვილის დედამ, 37 წლის ნანი აბულაძემ, კომკავშირის რაიკომის მეორე მდივანმა ლ. თუთარაშვილმა, ელენე ჯულელმა, რაიონულ გაზეთ „ლენინელის“ რედაქტორმა მ. ვარდოსანიძემ.**

**„საქართველოს ქალის“ მუშაობის შესახებ დასმულ კითხვებზე პასუხი გასცეს ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა მ. ბარათაშვილმა, პასუხისმგებელმა მდივანმა ე. ჯაფარიძემ, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ ლ. კაკაბაძემ.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოჯახის მრავალი პრობლემის გადაჭრის წინამძღვარია ქალთა შრომისა და ყოფის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც საშუალებას მისცემს მათ წარმატებით შეუხამონ დედობა შრომითს და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას.

სკკპ XXVII ყრილობისადმი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენებიდან.

# შევიხედოთ გახანგრძლივებულ ჯგუფებში



დ. იაკობაშვილის ფოტოები

94-ე სკოლა. ძველი თბილისის ერთერთი უბნის მაკეტი

რაოდენ სასიამოვნოა, როცა მასწავლებლისადმი მოსწავლეების და მშობლების მადლობის ბარათს ილებენ და თან სიყვარულის დასტურად წერილს საკუთარი ლექსით აგვირგვინებენ.

...„ეს ნაადრევად თმაშევერცხლილი სიმპათიური გარეგნობის ქალი უკვე 23 წელია მონდომებით, დიდი ენერგიითა და სიყვარულით ემსახურება ჩვენი მომავლის აღზრდის საქმეს“... ბავშვების მაგიერ მშობლების მიერ დაწერილი ეს სტრიქონები და დართული ლექსი, თბილისის 94-ე საშუალო სკოლის გახანგრძლივებული ჯგუფის აღმზრდელს ზაიარა გაგიევას ეძღვნება. სწორედ ეს წერილი დაედო საფუძვლად გადაგვეხედა ქალაქის სკოლების გახანგრძლივებული ჯგუფისათვის და გვემსჯელა მათ სიკეთეზე.

დღეს, როცა ყოველ პროფესიას დაუფლებული ქალი კაცის გვერდით შრომობს და, როგორც პოეტი ამბობს, დედა შინ და დედა — გარეთო, დედებიც და ბებიებიც საზოგადოებრივ საქმიანობაში არიან ჩაბმულნი და სკოლიდან დაბრუნებულ ბავშვებს შინ უფროსები არა ხვდებიან, — უმეთვალყურეოდ დატოვებულ მოზარდს გული გარეთ მიუწევს, უსაქმურთა წრეს უერთდება, რაც ხშირად არასასიამოვნო შედეგით მთავრდება ხოლმე; ამიტომ, დღეს ის სკოლა აღარ გვაკმაყოფილებს, ბავშვი რომ წავა, გაკვეთილებს მოისმენს და დაბრუნდება სახლში, დღის წესრიგში დადგა სკოლებში გახანგრძლივებული დღის სწავლების დანერგვა. ვიდრე მოზარდი ასაკს მიაღწევდეს, მეთვალყურე ყოველთვის სჭირდება, და აი, გახანგრძლივებული დღის ჯგუფები უპრიანი გამოდგა ჩვენი პატარებისათვის. მოსწავლე, გაკვეთილების შემდეგ გახანგრძლივებულ ჯგუფში რჩება, ხოლო მშობლები გულდინჯად შრომობენ წარმოებებში.

სიტყვა გაგვიგრძელდა... ისევ ზაირა მასწავლებლის 94-ე საშუალო სკოლას მივუბრუნდეთ, რომელიც საქარხნო რაიონშია. დირექტორი ჯ. ტყეშელაშვილი გაგიევას გაკვეთილზე გვაგზავნის III კლასში. პატივცემულ ზაირას ვთხოვეთ რამდენიმე წუთი დაეთმო ჩვენთვის;

— რატომ გიყვართ ზაირა მასწავლებელი? — ვეკითხებით პატარებს.

— იმიტომ, რომ დედასავით ზრუნავს ჩვენთვის.

— რით გამოიხატება ზრუნვა?

— გაკვეთილების გარდა, გვასწავლის როგორები უნდა ვიყოთ... უფროსების საუბარში არ ჩავერიოთ. ტყუილი არ უნდა ვთქვათ! უფროსებს ადგილი დავუთმოთ! გვიყვარდეს მცენარეები და ცხოველები... და ვინ მოთვლის, ერთმანეთს აღარ აცლიდნენ და ჭიკჭიკებდნენ ჩიორებივით.

ამ სკოლაში პედაგოგთა ენთუზიაზმი დიდია. მეორე კლასის აღმზრდელს ქეთინო ტომარაძეს თუმცა სამუშაო პირობები არა აქვს სათანადოდ შექმნილი, მაინც ახერხებს ხარისხიანი გაკვეთილები ჩაუტაროს პატარებს, ის თავად უკრავს, მღერის, ცეკვავს, მუდამ ხალისითაა პატარებთან, რითაც მუდამ კეთილ გუნება-განწყობას უქმნის მათ ბავშვებს.

94-ე საშუალო სკოლა დიდი იმედით შეჰყურებს მომავალს. მალე კაბინეტური სისტემა გაუქმდება და გამოთავისუფლებულ ოთახებს მოიხმარენ გახანგრძლივებული ჯგუფების ბავშვთა სიკეთისათვის, საშეფო ორგანიზაციები ჰპირდებიან დაუმონტაჟონ შრომის საამქროები და შეუძინონ საჭირო ინვენტარი, სათამაშოები და მხატ-



88-ე საშუალო სკოლა. მოსწავლეები ათვალიერებენ ალბომს.



23-ე საშუალო სკოლა. გახანგრძლივებული დღის ჯგუფის მასწავლებელი ზ. ჯაფარიძე.



45-ე საშუალო სკოლა. მასწავლებელი გ. ხუციშვილი.
დ. იაკობაშვილის ფოტოები.

ვრული ლიტერატურა. ამჯერად კი აი რით „იწონებენ" თავს: პირველ სართულზე, დერეფნის ერთი მხარე დათმობილი აქვს დიდი სიყვარულით ნაკეთებ ძველი თბილისის მინიატურულ „უბნებს", რომელსაც ხელმძღვანელობს შრომის მასწავლებელი ვანო შინდაშვილი: მზადა აქვთ რკინის კარკასები, რომლებსაც მალე შემინავენ და შიგ ფრინველებსა და ცხოველებს „დააბინავებენ". განზრახული აქვთ მრავალი სახის თევზის მოშენება.

ახლა 23-ე საშუალო სკოლას ვეწვიოთ, (დირექტორი მადონა მგელაძე). აქ გახანგრძლივებული დღის სწავლებას ჯერ კიდევ 1873 წელს ჩაჰყრია საფუძველი; მისი პიონერი — პედაგოგი ევგენია სკურატოვა ყოფილა. მას შემდეგ, წლების განმავლობაში ამ მეთოდის დახვეწას ბევრი პედაგოგის ხელი დასტყობია და აი, დღევანდელ სკოლაში, სადაც 1 300 ბავშვი სწავლობს, 150 გახანგრძლივებული დღის სწავლებაზეა.

კეთილმოწყობილი დასასვენებელი ოთახები, სათამაშო — გასართობებით, ტელევიზორით, კინოდანადგარით არის აღჭურვილი და საერთოდ აქ დიდი საშუალებაა მოზარდები ხელოვნებას ეზიარონ. აქვთ სამედიცინო ოთახები, ხოლო საძინებელში ლამაზი ავეჯი ოჯახურ სიმყუდროვეს უქმნის პატარებს. აქვე დავსძენთ, ენთუზიასტი მშობლები მხარში უდგანან პედკოლექტივს, მორიგეობენ და ყოველგვარ ღონისძიებებში ამჩნევენ თავიანთ ხელს.

30-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი ს. მელაძე) გახანგრძლივებული დღის სწავლებაზე 180 ბავშვია. 6 ჯგუფისათვის მხოლოდ ორი ოთახი აქვთ გამოყოფილი. გულსატკენია, რომ ჯერჯერობით ეს სკოლა ვერ დაიკვეხნის გახანგრძლივებული ჯგუფების ნორმალური მუშაობისათვის საჭირო პირობებით. მათ ერთი იმედი ასულდგმულებთ, რომ შენობაზე მიშენების შემდეგ ექნებათ უკეთესი პირობები.

154-ე საშუალო სკოლას (დირექტორი ბ. სადღობელაშვილი), მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხნის ისტორია არა აქვს, აქაური გახანგრძლივებული ჯგუფები კარგად მუშაობენ. კედელზე სპეციალური განრიგი გამცნობთ, რომ საგნის მასწავლებლისათვის ცნობილია, როდის, რომელ კლასში შევიდეს კონსულტაციისათვის.

როგორც პატივცემული ბორისი ამბობს, აქ პირველ ხანებში წინააღმდეგობა შეხვდათ როგორც მშობლების, ასევე მოსწავლეების მხრივ. მაგრამ დრომ დაარწმუნათ გახანგრძლივებული დღის სიკეთეში და დღეს აქ უკვე 300 ბავშვი მეცადინეობს. მომავალი წლიდან უკეთესი მდგომარეობა ექნებათ, მათ გვერდით მდებარე ნორჩ ტექნიკოსთა სადგური ადგილსამყოფელს იცვლის და ის შენობაც 154-ე საშუალო სკოლას დაეთმობა. მომავალში ყველა საგნის მასწავლებელი განაწილდება გახანგრძლივებულ დღის ჯგუფებში საკონსულტაციოდ, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს მუშაობას — გვეუბნება სასწავლო ნაწილის გამგე დესიკო კუთხაშვილი.

ამავე სკოლაში ერთი სიახლეც არის, I და II კლასის მასწავლებლებს ფორმა აცვიათ, რაც სასიამოვნო ეფექტს ჰქმნის.

გლდანის რაიონის განათლების განყოფილების გამგე დოდო კიკნაველიძე გვთავაზობს 45-ე საშუალო სკოლის მუშაობას გაეცნოთ (დირექტორი ხ. ნარჩემაშვილი). ამ სკოლაში გახანგრძლივებული ჯგუფების მუშაობას ხუთი შვილის დედა გალინა ხუციშვილი ჩაუდგა სათავეში და კარგადაც მოაგვარა. ყველაფერი საკუთარი ხელით შექმნეს, ჯგუფები კეთილმოაწყეს გალინა და ნინო ხუციშვილებმა. მათ გვერდში ედგათ მერი გოდელიანი და ც. ბითაძე.

45-ე საშუალო სკოლის გახანგრძლივებულ ჯგუფებს აქვთ რბილი ავეჯით დამშვენებული დასასვენებელი ოთახი, სადაც გამოფენილია ბავშვთა თვითნაკეთი სათამაშოები და ნივთები. სამეცადინო ოთახში დგას ტელევიზორი, კეთილმოწყობილია სპორტული ოთახი, ერთი სიტყვით მათი „სამფლობელო" იზოლირებულია სკოლის საკლასო ოთახებისაგან. აღსანიშნავია ისიც, რომ პატარებს პლასტმასის ყუთებში უხარებიათ მრავალი სახის ყვავილი, პამიდორი, ხენდრო.

როცა გალინა მასწავლებელი ბავშვებს ეკითხება, დღეს ვინ მომიტანა საჩუქარიო, მეო, ყოველი მხრიდან ისმის პატარების შეძახილები, რომლებსაც ხუთიანები აქვთ მიღებული. გალინა ხუციშვილი წლის საუკეთესო მასწავლებლის წოდებაზეა წარდგენილი.

167-ე სკოლის დირექტორი მზისადარ დევაძე დარდით სავსეა. ოცდაერთ ჯგუფში 627 ბავშვია და 21 მასწავლებელი ილვწის, მაგრამ რა გამოვიდა? მარტო მონდომება არ კმარა. ოთახები არა აქვთ. კიდევ კარგი, რომ სააქტო და სპორტული დარბაზები წესრიგშია მოყვანილი, თორემ რა ეშველებოდათ ამდენი ღონისძიებების მოყვარულთ. თუ სათანადო ორგანოები არ იზრუნებენ სკოლისთვის საჭირო ფართობის მიშენებაზე, რა ხარისხი ექნება გახანგრძლივებული დღის სწავლებას?

88-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი — მზია კოხტაშვილი) გახანგრძლივებული დღის სწავლებაზე 180 ბავშვია. აქ ბევრი რამ მოსწავლეთა ხელით არის გაკეთებული. ფრანგული ენის სპეციალისტმა ვერიკო კაკალაშვილმა გვითხრა: — ჩვენი მიზანია ყოველ ბავშვს შრომა უყვარდეს, უფრო მეტად გაუფრთხილდებიან ყოველ ნივთს, სკოლის ინვენტარს. ალბათ, ვერიკო მასწავლებელმა ამ შრომის სიყვარულით ბავშვებთან ერთად შექმნა ალბომი: „საინტერესო ამბების სამყაროში". რამდენ უცნაურ და საინტერესო რამეს ამოიკითხავთ აქ. ყოველ გვერდს თავად მოსწავლეები აფორმებენ; გამარჯვებულებს მასწავლებელი სამახსოვრო წიგნით აჯილდოებს: ბევრი რამ კარგი აქვთ, მაგრამ ბევრიც აკლიათ. ექვსწლიანი ბავშვებისათვის 13 საწოლია დასასვენებლად, ეს კი ძალიან ცოტაა, მაგრამ სკოლის საშეფო ორგანიზაციის — კერამიკული კომბინატის დირექტორი თ. აგლაძე ყველა სიკეთეს ჰპირდება პატარებს.

დოდო ზურაბიშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# წუთისოფელი ასეა



მხატვარი კარლო ფაჩულია

დილიდანვე უქმური აჰყვა ზეცას. ტყვიასავით შავმა ღრუბელმა დედამიწა რუხ ფერში გახვია. წვიმის მსხვილმსხვილი წვეთები ჯერ ძუნწად წამოვიდა, მერე წამოუშინა და მალე სეტყვაც აახრიალა სახურავებზე. სარკმლიდან გაშვერილ ხელისგულზე დაბნეულ ყინულის მძივებს მომპასის კანფეტივით ვაკნაწუნებდით მე და ჩემი ძმა.

თვალისმომჭრელ ელვას საშინელი ქუხილი მოჰყვა და კისრის ძარღვები კინაღამ დაგვაწყვიტა. გაოგნებიდან დედის ძახილმა გამოგვიყვანა. მიშველეთ, კაკალს მგონი მეხი დაეცა და ბებია ძირს აგდიაო...

გავცვივდით. გულშემოყრილი ბებია ოთახში შემოვიყვანეთ და საწოლზე დავასვენეთ. ჩვენს წიოკზე მთელი უბანი ფეხზე დადგა და მიუხედავად დელგმისა, ყველანი საჩქაროდ მოცვივდნენ. მაინც როგორი თბილი და ურთიერთგამტანი ხალხი ცხოვრობს სოფლად.

ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ იმას კი არასოდეს, თუ ჩემს ბებიას რაიმე შეუღონებდა გულს. შიში რა იყო, მან არ იცოდა. წარმოიდგინეთ, გველის დანახვაზეც არ ატეხდა კივილს. არც რას გერჩი და ნურც რას მერჩიო — ეტყოდა უხსენებელს, გაივლიდა და წავიდოდა. საღამო ხანს გულმოოხებული სტიქია ჩაწყნარდა. ღრუბელთა ტყვეობიდან თავდახსნილმა ცამ ლაჟვარდისფრად გამოანათა. ხორბალაანთ იასონას საბძლის ძირში გამართულ გრძელ სკამზე გამოეფინენ მოხუცები და სეტყვისაგან ჩაქცეულ ბაღებზე დაიწყეს სჯა-ბაასი. ილა პაპას მუხლებზე ეწყო ვაზის ჩასხეპილი კლერტები და თითქმის ტიროდა ეს დროული კაცი.

ცალკე კუთხეში მიყუჟულ პატარებს გვიკვირდა უფროსების ესოდენ დიდი ტკივილი სეტყვის გამო. რა დასამალია და, მაშინ ჩვენს გარშემო ბევრი რამ ხდებოდა ისეთი, რაც გვაოცებდა. ჩვენი ცნობისმოყვარეობა იმდენად შორს მიდიოდა, რომ ვშლიდით რადიოს, რათა გვენახა ის, ვინც შიგ „იჯდა". შევცქეროდით ქალებს და გვიკვირდა, ნინო ძალოს თუ რატომ ჰყავდა ოთხი შვილი, მის გასათხოვარ მულს კი არცერთი. ანდა რატომ გვეძახდა ბუზიაანთ მარო ქალაბიჭებს, როცა ჩიკორს ვაბზრიალებდით...

წლები მიჰქროდნენ... ჩვენ ვიზრდებოდით და წუთისოფლის ეტლზე ჩამომსხდარნი შეუმჩნევლად მივირწეოდით იმ ბექობისკენ, სიჭაბუკის მწვერვალად, შარავანდედით მოსილ დიადემად რომ დაჰნათის უღელტეხილს. დაღმართზე ჩათავქვევებული მოხუცები კი ნელ-ნელა უჩინარდებოდნენ მარადისობის უსასრულობაში...

პირველად ფეიქრიაანთ სიმონას კარზე დაიჩოქა იმ აქლემმა, ხალხი სიკვდილს რომ უწოდებს. დაიჩოქა და, მანამ არ აითრია კუზიანი სხეული, ვიდრე სიმონა არ გაიყოლა.

მოკვდა, წავიდა სოფლის მეწისქვილე, შაუმიანის ყოფილი ჯარისკაცი. იგი ობლობით გაიზარდა, რევოლუციაში ჩაება და ბაქოდან მკლავში გაჩერებული ტყვია სახსოვრად ჩამოიტანა. როცა შეთვრებოდა, აიკაპიწებდა ხოლმე ხალათის სახელოს და დაკორძებულ ტყვიას გვიჩვენებდა. უხაროდა მოხუცს, რომ რევოლუციის დიდ მონაპოვარში მისი სისხლიც იყო გარეული, რომ არ შეარცხვინა ის დიდი წინაპარი, ვინც ტაშისკართან ბრძოლაში თავი ისახელა და გმირობის ჯილდოდ ერეკლე მეფემ მამულები აჩუქა საციციანოში.

სიკვდილმა რაკი ერთი გაიკვალა გზა ჩვენს მყუდრო უბანში, აღარ დაგვერიდა და მეორედაც მოვიდა წელათრეული. ამჯერად ილა პაპას კართან აიტუზა და ვერ მოისვენა, ვიდრე ის მთასავით კაციც არ წააქცია. მეხის გავარდნას ჰგავდა ილას სიკვდილი. მეგონა, ცა ჩამოინგრა-მეთქი, მაგრამ ისევ წითლად ამოანათა მზემ და ისევ აჰყვა დილის საარს ტოროლას წკრიალი.

ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა და ოღრო-ჩოღრო ლაბირინთებში ხან გვაცინებდა, ხან გვატირებდა.

იასონას საბძლის ძირში ჩადგმულ სკამზე კვლავ ძველებურად იყრიდნენ თავს მეზობლები, მაგრამ აღარსად იყო თვითონ იასონა — ეს მუდამ მოფუსფუსე და დაუდეგარი ადამიანი. აღარსად ჩანდა ნიკო პაპა თავისი ქარვის ჩიბუხით. ფუხაანთ ვასოს როყიო ხმაც აღარ ისმოდა სადმე.

იმ ჟამგამოვლილ, ჩანაცრისფერებულ სკამზე კი უფროსი თაობიდან მხოლოდ სანდრა პაპა შემორჩა. ზის ნაღვლიანი და ფიქრის გორას შეჭიდებული. ძალიან მოკლე ყოფილა წუთისოფელიო და ვიდრე ცხოვრობთ, კარგი მკით და კარგი თესეთო, — მეუბნება იგი გაბზარული ხმით.

ჰაი გიდი, სანდრა პაპა, ხმაში რიხი დაგკარგვია; მე კი მინდა იმ ომახიან კაცად გხედავდე, ამ ოციოდე წლის წინ რომ მახსოვხარ. მარიამობა იყო. შენ დეკეული დაკალი. ცოტა შეთვერი და ღიღინებდი:

ჩვენში ერთი ქვრივია,
წელში ცოტა წვრილია,
ჩითის პერანგი აცვია,
ლილით გარეცხილია!

კურცხალი ცრემლები ჩამოეღვენთა მოხუცს ლაწვებზე. ვერ გეტყვით, ის ცრემლი სიხარულმა მოჰგვარა თუ მწუხარებამ. ერთი კია, ღიმილს ვერ იცილებდა სახიდან.

რაკი მოგონებათა სკივრს სარქველი ავხადეთ, მე და სანდრა პაპა ველარ გავჩერდით და გვიანობამდე შევყევით მასლაათს. გავიხსენეთ ის დრო, როცა თბილისიდან ჩამოსული მსახიობები სოფლის ცხოვრებას კიდევ უფრო გვიხალისებდნენ. ჩვენს კლუბში ხან აბრეშუმის ჭია იდებდა ბინას და ხანაც უხვად მოწეული კეხურა ვაშლი. მსახიობები თეატრს არ შლიდნენ და საბარგო მანქანის ძარაზე გვიჩვენებდნენ პატარპატარა „სკეტჩებს". ჩვენ როლებს ვიხსომებდით და მერე სკამებზე ჩამომსხდარ მეზობლებს ვუდგამდით იქ ნანახ წარმოდგენებს.

მე პარიკმახერი ვიყავი, მზია კი — კლიენტი. ხელში ბებიაჩემის ნამზითევი უშველებელი მაკრატელი მეჭირა და ვეკითხებოდი „გაკრიჭოვსკი" თუ „გაპარსოვსკი"?

„გაპარსოვსკი", „გაპარსოვსკი", მეუბნებოდა და მეც მამისეულ ჩაჟანგულ სამართებელს მარიფათიანად ვილებდი, ვშლიდი და ვერ



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვმლიდი. თვალს კი კლიენტისაკენ ვაპარებდი, რომ არ გამქცეოდა.

მაყურებლები სიცილით იგუდებოდნენ. ჩაბჟირებული სანდრა პაპა ხველებ-ხველებით ამბობდა — რა არიან ეს ვირისთავები, კაცო?

სანდრა პაპას ახლაც გულიანად ეცინება და ხელის ჩაქნევით მანიშნებს, ის დრო წავიდა ჩემო მარინაო.

მართლაც და როგორი ულმობელი ყოფილა დრო, დრო, რომელსაც არც თვალი აქვს, არც ყური, არც ფერი და ხორცი, კაცობრიობას კი მაინცა ზარავს. ზარავს იმიტომ, რომ ამ უსახურ რაობას გააჩნია სამი განსაზღვრება: წარსული, აწმყო და მომავალი. კაცისთვის წარსული გაზაფხულია, აწმყო შემოდგომა, მომავალი კი ზამთარი.

ანაზდად, ღამის მყუდროება მქისე ხმაურმა დაარღვია. ეს წუთისოფლის ეტლი მიჭრიალებდა გზაზე და საუკუნეებს დინჯად ითვლიდა. მე და ჩემი მოსაუბრე მდუმარედ გავცქეროდით ვარსკვლავთა შორის ჩაგრეხილ ზეცის ბილიკებს...

ბოლოს დავემშვიდობე მოხუცებულს, რომელიც ალიონზე აპირებდა ადგომას და სიმინდის კალოზე წასვლას, რა ვუყოთ, თუ მუხლი აღარ მერჩისო. მკლავი საიმისოდ ხომ მიჭრის, რომ სიმინდი მოვატაროო. ეგეც საქმეა. ჩვენს ბრიგადას ახლა იმდენი საქმე აქვს, რომ ახალგაზრდები ველარ აუდიან და, თუ ჩემისთანებმაც ცოტა ხელი არ მივაშველეთ, სხვებს ჩამოვრჩებით და გარდამავალი დროშაც განზე დაგვრჩებაო. ასეა, შვილო, ხომ გაგიგია:

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი
მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის
არა იზრუნოს!“

მითხრა სანდრო პაპამ და წაცუხცუხდა. მე ვიდექი და მის მოხრილ ზურგს მონუსხული მივჩერებოდი. მართლაც და, როგორი ავი ყოფილა ჟამი. ახლა ჩემთვის რომ ეკითხათ ყველაზე მეტად რას ისურვებდიო, — მე იმ მხატვრის ნახვას მოვინატრებდი, უკითხავად რომ შემოდის ჩვენს საძინებელში და თმებს ვერცხლისფრად გვიფერადებს. ბავშვობისდროინდელ უნაზეს ფერებს კი უხეში ფუნჯით გვინადგურებს. იმ მხატვარს მე საღებავებს წავართმევდი და ვეტყოდი: არამკითხე ვაჟბატონო, მიბრძანდით აქედან. ამ პლანეტაზე თქვენი ადგილი არ არის!... მაშინ, ჰო, მაშინა იმ ნაცრისფერ სკამზე ისევ იჯდებოდა იასონა თავისი საყვარელი მეზობლებით და სანდრა პაპაც ისევ ჩვეული რიხით იმღერებდა უბნის ფსონზე.

ცარო ფეიქრიშვილი
თბილისის 175-ე საშუალო სკოლის პედაგოგი

* * *

გაზაფხულდება...
მეც შევიცვლები,
თმაში ჩავიბნევ
ლამაზ გვირილებს...
შენს სანახავად
წყაროზე ჩავალ,
გულს შენზე ცრემლით
გადავიგრილებ...
მერე რიყეზეც
მოგძებნი ალბათ,
შიშველ ტერფებით,
გავთელავ კენჭებს...
ყველაზე მაღალ
მწვერვალზე ავალ
და ღრუბელივით
დავკეცავ ეჭვებს.

* * *

მახსოვს,
ოდესლაც მეძახდნენ ირმას...
მერე კი...
მერე — რა დრო გასულა...
ნუ დამპირდები ვარდსა და იას —
მე მარტო ვრჩები
იმ შორ წარსულთან!
მომენატრება ირმის ძახილი,
მომაგონდება თეთრი თოლია...
ორლობეებში მიდის ნახირი
და დღე და ღამე წამის ტოლია!

* * *

მოდი
მაუწყე,
რაზე კისკისებს
ეს გაზაფხული — სათნო და მწველი?!
მივყვები ქარებს გაფრენილს ლექსად
და უფრო ლამაზ ღამეებს ველი...

მანანა შატაშიძე

## აი ეს არის სიცოცხლე!

შენ რომ გაიღიმებ და სხვასაც,
დამწუხრებულს
ღიმილს მოჰგვრი,
აღმართს რომ აივლი და
მოხუცებულსაც მხარში ამოუდგები,
აიყვან;
ცივ ზამთარში რომ საცოდავ ბეღურებს
ყოველ დილით საკენკს დაუყრი, —
აი, ეს არის სიცოცხლე!
სუფრა რომ შენ უდღეგრძელებლად
არ დამთავრდება,
რომ მოხუცდები და პატივს სცემენ
შენი თმების თოვლს,
შვილთაშვილებს რომ ეტყვიან შენზე —
სახელოვანი გყავდაო წინაპარი, —
აი, ეს არის სიცოცხლე!
და სიცოცხლეა, —
რომ იტყვიან შენს გარდაცვლილ
ლამაზ სხეულზეც, —
რა კარგად ცხოვრობს!

დალი ქუფარაშვილი

## დეიდისადმი

წლები მიდიან, წლები იბრძვიან
ვერ მოგაწვდინე, ის რაც მინდოდა,
უდეიდობა ჯერ არ მიგრძვნია,
ძნელი ყოფილა უდეიდობა.
თვალში ნაგუბი ცრემლი მოჟონავს,
ჩამოაქცია ლობე ასაკმა,
გამახსენდება ისევ თერჯოლა
და მოყარყატე ჭრელი ვასაკა.

ჩემს მოსვლას გრძნობდი ხოლმე გუმანით,
მსხლის ძირში ქსოვდი ლაზლის ფაჩუჩებს,
ნანოლიები ერთი თუმანი,
უკანასკნელად ჩემს შვილს აჩუქე.
ვილა მომაწვდის ატამს, ალუჩას,
ვინ მოიკითხოს დედა შენსავით,
და ახლაც ახსოვს იმ ცელქ ხაუჩას,
მის ნაპირზე რომ ღვინოს შევსვამდით.
მწვანე ბაყაყი ხეზე კრუალობს.

ნიავია და ალბათ იწვიმებს,
შენსავით ნეტა ვინ მოუაროს,
ქოხში შეყუჟულ მცივან წიწილებს.
წლები მიდიან, წლები იბრძვიან,
ვერ მოგაწვდინე, ის რაც მინდოდა,
უდეიდობა ჯერ არ მიგრძვნია,
ძნელი ყოფილა უდეიდობა.

ნოდარ ბაქრაძე



მაყვალა ობოლაძე

# მხოლოდ სცენით ცოცხლობდა

რესპუბლიკური თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივების ფესტივალის ლაურეატი, მრავალი დიპლომისა და სიგელის მფლობელი, სახალხო თეატრის მსახიობი მაყვალა ობოლაძე ორმოცდაათი წლის მანძილზე ამაყად იდგა პლეხანოვის სახელობის კულტურის სასახლის სცენაზე და თავის საყვარელ გმირებს ასახიერებდა: ახალგაზრდა და საშუალო ასაკის პერსონაჟებს, ღრმა მოხუცებს... და მის შესრულებაში ყოველთვის გამოსჭვიოდა შემოქმედებითი ალღო და მგზნებარება.

მ. ობოლაძის შემოქმედებითი დიაპაზონი მრავალფეროვანი იყო, ერთნაირად მიჰქონდა გულთან დრამა და კომედია.

ახალგაზრდა მსახიობმა გამოცდილი ხელმძღვანელის ნიკო გოძიაშვილის ხელში ბევრი რამ ისწავლა. რეჟისორი მის ნიჭსა და უნარს სწორ მიმართულებას აძლევდა. სწორედ მ. ობოლაძის თეატრში მისვლას დაემთხვა გ. დარისპანაშვილის პიესის („ბრძანება 104"-ის) მზადება. მაყვალამ კარგად ჩაატარა თავისი სასცენო ნათლობა. ახალბედა მსახიობი მოეწონათ მაყურებელსა და კოლეგებს.

მეორე როლი იყო კნიაგნა სონია ი. გედევანიშვილის „მსხვერპლში".

მ. ობოლაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან აქაც კარგად აუბა მხარი გამოცდილ კოლეგებს და სადებიუტო სპექტაკლში იმედისმომცემი სიტყვა თქვა...

გავიდა წლები. მ. ობოლაძე მუშათა რაიონის თეატრალური ცხოვრების სული და გული გახდა. მან თავიდანვე მოიპოვა წარმატებები პლეხანოვის სახელობის სახალხო თეატრის დადგმებში. მაგრამ მისმა მსახიობურმა ნიჭმა საერთო აღიარება ზეინაბის როლით ჰპოვა (ა. სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი"). მან დამაჯერებლად დახატა სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ზეინაბის სახე.

ოცდაათიან წლებში პიესა „რღვევის" დადგმით თეატრმა ახალშემოქმედებითს გამარჯვებას მიაღწია. როგორც დადგმა, ისე მსახიობთა ხელოვნება პროფესიულ დონეზე იდგა. თეატრის ნიჭიერმა კოლექტივმა მოგვცა დიდი ემოციური ქღერადობის სპექტაკლი.

სხვა შემსრულებლებთან ერთად, აღსანიშნავია მ. ობოლაძის თამაში ქსენიას როლში. აქ უფრო მეტად გამოვლინდა მისი აქტიორული ოსტატობა, განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო სცენები კაპიტან ბერსენევთან (ბ. ხარაბაძე). სპექტაკლს აკაკი ხორავაც ესწრებოდა, რომელმაც მხურვალედ მიულოცა წარმატება ქსენიას როლის შემსრულებელ მსახიობს მ. ობოლაძეს.

1958 წლის დეკემბერში გამართულ თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივების რეჟისორთა პირველ რესპუბლიკურ კონფერენციაზეც ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის ქართული თეატრალური კოლექტივი არჩ. მაჩაბლის მიერ დადგმული ბორის ლავრენევის „რღვევით" წარსდგა. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ, კონფერენციის საპატიო სტუმარმა, ლენინგრადის ხალხური შემოქმედების სახლის დირექტორმა ამხ. კოზლოვმა აღელვებულმა მიმართა მსახიობებსა და მაყურებლებს: „სპექტაკლი, რომელიც დღეს მე აქ ვნახე, — თქვა მან — ჩემთვის, შეიძლება ითქვას, რომ პირდაპირ აღმოჩენაა. სპექტაკლი რომელიც მე აქ, თბილისში ვნახე, მისი გმირებიც ჩვენთვისაც ღვიძლნი და ახლობელნი არიან. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო ბერსენევი, ფონ შტუბე, ტატიანა, ქსენია და გოდუნი. ისინი ჩემთვის დიდი ხნის ნაცნობი სახეებია, მაგრამ ყოველ მათგანში დღეს მე პირველად დავინახე რაღაც ახალი. სულითა და გულით გილოცავთ გამარჯვებას, ამხანაგებო". — წრფელი გრძნობით წარმოთქმული ეს სიტყვები ნამდვილად დიდი ჯილდო იყო თეატრალური კოლექტივისათვის...

მ. ობოლაძის შემოქმედებითს ოსტატობაზე მის მიერ განსახიერებული როლები ლაღადებს: ლირსა — „ყვარყვარე თუთაბერი"; დაშა — „ხიდ ქვეშ"; ორომსე — „რაც გინახავს, ველარ ნახავ", საბედო — „ზვავი"; მარიამი — „მზე ცრემლში"; ანანო — „ვინ არის გმირი" და სხვა. ამას მოჰყვა მ. ობოლაძის მონაწილეობით შესრულებული მარგარიტას როლი შირვანზადეს პიესაში („პატიოსნებისათვის"). მარგარიტა ერთ-ერთ ყველაზე უფრო ნიჭიერად გამოკვეთილ სახედ ითვლება მ. ობოლაძის რეპერტუარში.



„ჩემი ყვავილეთის" პრემიერის შემდეგ

მისი სახით მ. ობოლაძემ წარმოგვიდგინა სათუთი სულისა და მტკიცე ნებისყოფის ქალი, რომლისათვისაც პატიოსნება ყველაზე ძვირფასია. ეს როლი მას თავისებურად ჰქონდა გააზრებული.

დადგმამ გულწრფელი აღიარება მოიპოვა. სხვებთან ერთად დიდი მოწონება ხვდა მ. ობოლაძის მიერ მოხდენილად და დიდი ოსტატობით შესრულებულ მარგარიტას სახეს, რაც პრესაშიაც აღინიშნა.



სცენა „მსხვერპლიდან"

გავიხსენოთ პიესა „მზე ცრემლში". ქალთა პერსონაჟებიდან ცენტრალური ადგილი მარიამს უკავია. მას მსახიობი მ. ობოლაძე ასრულებდა. მარიამის როლი ყველაზე რთულია თავისი ფსიქოლოგიური კვანძებითა და ღრმა განცდებით. ის შვილზე ფიქრით ძილგატეხილი, თვალცრემლიანი დედაა, ხოლო როდესაც შვილს მოუწამლავენ, ვეფხვად იქცევა და მზად არის წალეკოს ყველაფერი, მაგრამ კვლავ ლმობიერია, მშვიდობისა და შერიგების მქადაგებელია, რაკი შვილი სიკვდილს გადაურჩება. დამდგმელმა რეჟისორებმა არჩ. მაჩაბელმა და ვალ. ვაშაძემ გარკვეული მუშაობა გასწიეს მაღალმხატვრული და მიმზიდველი სპექტაკლის შესაქმნელად.

სახალხო თეატრმა ლენინის დაბადების მე-100 წლისთავის აღსანიშნავად გადაწყვიტა ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი" დაედგა (რეჟისორი ვ. გელაშვილი).

პრემიერის დღეს დარბაზი მაყურებლით აივსო. ფარდის გახსნისთანავე სცენასა და დარბაზს შორის ისეთი უხილავი კონტაქტი დამყარდა, რომელიც წარმატების პირველი პირობაა თეატრში.

ამ ხალხმრავალმა სპექტაკლმა, რომელშიც სამოცდაათამდე შემსრულებელი მონაწილეობდა, სახალხო თეატრის სცენა აბობოქრებულ ტალღად აქცია და „ერთობის" ნაპერწკლის სხივით ერთხელ კიდევ გაახსენა მაყურებელს საქართველოს გმირული რევოლუციური წარსული. უსაზღვრო სევდითა და ღრმა სიყვარულით იყო აღსავსე ვანოს დედის სახე, მაყვალა ობოლაძის შესრულებით. მ. ობოლაძემ ამაღელვებლად გადმოსცა დედის მწუხარება, ღრმად ჩასწვდა გმირის სულიერ სამყაროს და დიდი დამაჯერებლობით დახატა ის.

ამ სპექტაკლსაც აკ. ხორავა ესწრებოდა, წარმოდგენის შემდეგ მან მ. ობოლაძეს გამარჯვება მიულოცა, თან სიცილით დასძინა: შენ უკვე ჩემსავით მოხუცებზე გადასულხარო.

დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებდა მ. ობოლაძის მიერ განსახიერებული ანანო სტ. და ალ. მხარგრძელების კომედიაში („ვინ არის გმირი"), რომელიც საბჭოთა საქართველოს 50-ე წლისთავს მიეძღვნა. მშრომელსა და გამრჯე ანანოს ვერ აუტანია ქმრის სიზარმაცე. გულმართალ ქალს არ სჩვევია ტყუილის თქმა, ხალხს პირველი აუწყებს სიმართლეს.

ამის შემდეგ, მ. ობოლაძის მონაწილეობით ჩვენ ვიხილეთ (რეჟისორი ნ. ჭანტურია) დრამატურგის მარიკა ბარათაშვილის პიესა „ჩემი ყვავილეთი", სადაც იგი მამიდა ნიმფას როლს ასრულებდა.

ვინც ერთხელ ნახა, არასოდეს დაავიწყდება ნიმფა — პატრიოტი მოქალაქისა და კარგი სპეციალისტის დავითის ცოლის მამიდა, ფუქსავატური აზრებით დატვირთული ქალაქელი ქალი, რომლის მიმოხვრა, საქციელი, ჩაცმულობა, სიტყვა-პასუხი სასაცილო და შეუფერებელია ჩვენი დროის ჭეშმარიტად ღირსეული ადამიანებისათვის.

ამას მოჰყვა რეჟისორ ნ. ჭანტურიას მიერვე განხორციელებული, დიადი გამარჯვების 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ვ. სობკოს პიესა „შემინახე საიდუმლოება". ამ სპექტაკლში სოფია პეტროვნას როლის წარმატებით შესრულებისათვის საქართველოს პროფსაბჭოს თვითმოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა მ. ობოლაძე პირველი ხარისხის დიპლომით დააჯილდოვა. სსრ კავშირის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილ თვითმოქმედი ხელოვნების რესპუბლიკურ ფესტივალზე კი მან ლაურეატის წოდება მოიპოვა.

1970 წელს, როცა მ. ობოლაძეს დაბადების 60 და სასცენო მოღვაწეობის 40 წლისთავის საღამო მოუწყეს, პლეხანოვის კულტურის სასახლის დარბაზი მსახიობის თაყვანისმცემლებით აივსო. სცენის ამაგდარი ქალი ერთხელ კიდევ წარსდგა აუდიტორიის წინაშე. რამდენი მოგონება გაცოცხლდა იმ დღეს იქ, იმ სახელოვან სცენაზე, სადაც 50 წლის წინათ პირველად აინთო მისი შემოქმედებითი ლამპარი. ამ ხნის მანძილზე ის თავდადებით ემსახურებოდა ჩვენი ხალხის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს. მისი ასამდე სცენური სახე ყოველთვის აღსავსე იყო ღრმა აზრით, განცდითა და სიმართლით. მისი ცხოვრება მუდამ ღრმად იყო დაკავშირებული ხალხის ცხოვრებასთან, მის გულთან და მისწრაფებებთან. ამიტომ არის, რომ თავდადებული შრომის საფასურად მას ხალხის საერთო სიყვარული და აღიარება ხვდა.

ამ ჩემს მეორე ოჯახში, — ამბობს ღვაწლმოსილი მსახიობი მ. ობოლაძე — ბევრი სიხარული და სიმწარე მიგემია, და რამდენ თავდავიწყებით მიყვარს ამ შენობის კედლები, სცენა. ის ტრადიციები, რომელიც ნაძალადევის სახალხო თეატრს აქვს, ყველას ავალებს დიდი მოწიწებითა და პასუხისმგებლობით იმუშაოს ამ წმიდათაწმიდა ტაძარში...

ეს დღე ჩემთვის ღირსსახსოვარია, დიდხანს გამყვება, თითქოს სიცოცხლეც ხელახლა იწყება!

და მართლაც, მაყვალა ობოლაძე სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე დიდი გატაცებით განაგრძობდა თავის საყვარელ საქმიანობას.

თამარ გომართელი



„ღალატი". ზეინაბი — მ. ობოლაძე, ისაბარი — ა. ნასყიდაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „დედის დღე" ინსტიტუტში



ვ. გენგიურის ფოტო

ზღვა სიმღერებისა, ბავშვების ჟივილ-ხივილით გაივსო იმ დღეს თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი.

თემატური საღამო — „დედაო, ქართვლის იმედო" ანუ მრავალშვილიანი დედების შეხვედრა ახალგაზრდა დედებთან მიეძღვნა მშვიდობის საერთაშორისო წელს, რომელსაც ლაიტმოტივად გასდევდა მოწოდება — „მრავალი შვილი ერის უკვდავებაა".

საზეიმო განწყობილება სუფევდა ირგვლივ, ისმოდა ყველასათვის გულში ჩამწვდომი სიტყვები „დაე, მუდამ იყოს დედა, დაე, მუდამ ვიყო მე"...

ამ მამულიშვილური ინიციატივის მოთავენი გახლდნენ: ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი ოთარ ნათიშვილი, პარტიული კომიტეტის მდივანი, დოცენტი ევგენი ბარათაშვილი, გაერთიანებული პროფკომიტეტის პრეზიდიუმის ქალთა და ბავშვთა შორის მუშაობის კომისიის თავმჯდომარე, დაოჯახებულ სტუდენტთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ხელშემწყობი კომისიის თავმჯდომარე, დოცენტი ანტონინა ბარბაქაძე, ქალთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დოცენტი თინა მეტრეველი, პროფკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლამარა გოჩიტაშვილი, დაოჯახებული სტუდენტების საოჯახო ეთიკის უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი ვლადიმერ ჭანუყვაძე. საზოგადოება „ცოდნის" საინსტიტუტო პრეზიდიუმის თავმჯდომარე, დოცენტი ქეთევან დგებუაძე და ინსტიტუტის გაერთიანებული პროფკომიტეტის თავმჯდომარე დოცენტი კარლო ბუაჩიძე.

დარბაზში ისხდნენ ინსტიტუტის მრავალშვილიან თანამშრომელთა გ. სხილაძის (შვიდშვილიანი), ი. მურადაშვილის (ხუთშვილიანი), ნ. ლავთაძის (ოთხშვილიანი), ნ. გელაშვილის (სამშვილიანი), შ. აფციაურის (სამშვილიანი) ოჯახები, მათ გვერდს უმშვენებდნენ სტუდენტი დედები და მამები.

ინსტიტუტის კოლექტივმა ორი წლის მანძილზე გარკვეული ღვაწლი გასწია დაოჯახებულ სტუდენტებთან მუშაობაში და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია. გაერთიანებული კომიტეტი ანკეტას უხსნის დაოჯახებულ სტუდენტს, რომელშიც აღნუსხულია მისი მონაცემები — საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები, ოჯახური მდგომარეობა, მეუღლეების საქმიანობა, მათი აკადემიური მოსწრება, ოჯახის შემოსავალი.

დღეისათვის ინსტიტუტში 160 დაოჯახებული სტუდენტი სწავლობს, აქედან 22 ფრიადოსანია, 43 კარგოსანი, არცერთი აკადემიურად ჩამორჩენილი.

უბინაოთათვის ცალკეა გამოყოფილი ერთი ხუთსართულიანი შენობა, რომელსაც ლამაზი ასოებით აწერია. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაოჯახებულ სტუდენტთა კორპუსი. აქ მაცხოვრებელთა ყველა ბავშვი უფასოდ ირიცხება დიღმის სარემონტო ქარხნის ბაგა-ბაღში (გამგე რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი რუსუდან ბურდული); თითოეული ოჯახი წლიურად ჩვიდმეტ მანეთამდე თანხას იხდის. კორპუსს გამოყოფილი აქვს ბავშვთა ოთახი, სადაც შაბათ-კვირას ლექციებზე ან სხვადასხვა გადაუდებელ საქმეზე წასასვლელი დედა შვილს თამამად უტოვებს სამორიგეოდ გამოყოფილ რომელიმე სტუდენტ დედას. სტუდენტური ოჯახების განკარგულებაშია ნათელი, მზიანი ოთახები სათავსებით. ყველა სართულზე დგას ტელევიზორი. საოჯახო საქმიანობის დაუფლება-შესწავლის მიზნით ინსტიტუტში შეიქმნა „ახალგაზრდა დედების კლუბი", რომელსაც უნარიანად ხელმძღვანელობს დოცენტი ნ. რამიშვილი. კლუბი პრაქტიკულ დახმარებას უწევს როგორც დაოჯახებულ, ასევე დასაოჯახებელ სტუდენტებს, მომავალ დედებსა და მამებს. კლუბთან მუშაობს ქსოვის, კულინარიისა და მხატვრული თვითმოქმედების სექციები. ბაგა-ბაღის გამგე ქალბატონი რუსუდან ბურდული დაოჯახებულ სტუდენტთა საბჭოს წევრებთან ერთად ახალბედა, გამოუცდელ სტუდენტ დედებს უტარებს ერთკვირიან სწავლებას ბავშვის მოვლასა და კვებაზე, თავაზობს საჭირო ლიტერატურას, ეხმარება საჭირბოროტო საკითხების გადაჭრაში.

უნდა აღინიშნოს დიღმის საცდელი მეურნეობის დირექტორის ნ. თეთრუაშვილის და მეხილეობის განყოფილების უფროსის ჯ. ტყეშელაშვილის ღვაწლი, რომლებმაც ივალდებულეს დამატებით აწარმოონ და პერიოდულად მთელი წლის მანძილზე დაოჯახებულ სტუდენტებს უფასოდ მიაწოდონ ხილი და ბოსტნეული.

კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში — დაარსდა „დედის დღე". ამ დღეს ბევრი საპატიო სტუმარი ეწვია ახალგაზრდა და მრავალშვილიან ოჯახებს. მოვიდნენ, რათა შეექოთ ახალგაზრდობა — იმედი ხვალის, ათასნაირი სურვილები ეძღვნათ მათთვის. მომლოცველთა შორის გახლდათ ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქტორი, პოეტი მარიკა ბარათაშვილი, რომელმაც გზა დაულოცა ახალგაზრდა ოჯახებს, დღეგრძელობა, მზეგრძელობა და გამრავლება უსურვა მათ.

ნორჩი მხატვრების ნამუშევრები შეაფასა და სასარგებლო რჩევა-დარიგება მისცა პატარებს რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა ნელი ოქროპირიძემ.

ბედნიერი ღიმილი დასთამაშებდა იმ დღეს ყველას სახეზე. ამდენი თვალხატულა ბავშვი, ამდენი ბედნიერი დედა, ამდენი ყვავილი და ახალი სიცოცხლის მომნიჭებელი სიტყვები სამკაული იყო დიდებულად ჩაფიქრებული ღონისძიებისა.

**ნანული ბუკია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გზის დასაწყისთან

სურათზე მარჯვნივ
ნატო მეთოდიშვილი

თელავის მე-6 საშუალო სკოლის მოსწავლე ნატო მეთოდიშვილი — სწავლის ხუთოსანი; მან ზაფხულის არდადეგებზე მშობლიური მხარე, მშობლებთან ერთად ფეხით შემოიარა; კახეთის ისტორიულ ძეგლებს გაეცნო, ჩაინიშნა, ჩაიწერა, ჩაიხატა...

...ნატო შრომისმოყვარე გოგონაა, სწავლის ხუთოსანი, უყვარს მუსიკა. — ახასიათებენ მას კლასის ხელმძღვანელი თინა შიშმანაშვილი და პიონერხელმძღვანელი გულნარა ნაზაროვა. იხსენებენ რუისპირის ზვრებს, მთელი სკოლა სტიქიის მიერ მიყენებული ჭრილობების მოშუშებაში რომ ეხმარებოდა ვენახს. მე-6 ბრიგადაში შრომობდნენ ნატო და მისი თანაკლასელები: ქეთინო ნემსაძე, მაია ბასილაშვილი, ალექსი დათიშვილი და სხვები, რომლებიც დღეში ორ ტონაზე მეტ ყურძენს კრეფდნენ.

სკოლის წლები იმითაც დაახსომდება ნატოს, რომ გაზეთ „ნორჩი ლენინელის" მიერ სხვადასხვა დროს გამოცხადებულ ფოტო, სპორტულ თუ სხვა სახის ვიქტორინების და წამოწყებების აქტიური მონაწილე იყო. ნატო წიგნისმოყვარე, ნებისყოფიანი გოგონაა, რასაც დაისახავს, საქმეს ბოლომდე მიიყვანს.

ახსოვთ მის პედაგოგებს რამდენი ირბინა რაიონული გაზეთის რედაქციის დავალების შესასრულებლად; დიდ სამამულო ომში ხალხთა მეგობრობის აღსანიშნავად უნდა ჩაეწერა ომის მონაწილეთა ნაამბობი. თანაკლასელებთან ერთად შემოიარა ახლობელთა ოჯახები; მოიძია წერილები, ფოტოსურათები, ვეტერანთა მოგონებები ჩაიწერა და რედაქციის დავალება უპასუხოდ არ დატოვა.

მან, თელავის პიონერთა სახლთან არსებულ ნორჩ მხარეთმცოდნეთა კლუბის „ბურჯის" აქტიურმა წევრმა, კლუბის ხელმძღვანელის, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის მიხეილ ცაკაშვილის ხელმძღვანელობით მიაღწია წარმატებას. პატივცემულ მიხეილს თუ ნატოზე კითხავთ რამეს, დავალების უზადო შემსრულებლად დაასახელებს. ეს მან დაავალა ნატოს, კერამიკის წარმოების ისტორია შეესწავლა. პიონერთა სახლში მიღებული დავალება მამას გააცნო (ისტორიის მასწავლებელ ყარამან მეთოდიშვილს), ვინაც ჩაახედა იგი უფრო ღრმად, საქართველოს ისტორიაში, ფეხით შემოატარა და რაიონის ისტორიული ძეგლები აჩვენა, ქვისმთლელთა, კირითხუროთა ნამაგარი გააცნო.

ნატომ მამასთან ერთად შემოიარა ძველი და ახალი შუამთა, იყალთოს აკადემია, ვარდისუბნის, კისისხევის, აკურის ისტორიული ძეგლები. მხარში ამოუდგა რაიონის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ინსპექტორს, პარტიისა და შრომის ვეტერანს თამარ ჭერაშვილს.

ვის არ შეხვდა ნატო, სად არ იარა ნორჩ ეთნოგრაფებთან ერთად და, ნორჩ ეთნოგრაფთა დუშეთის ზონალურ კონფერენციაზე საინტერესო მოხსენება წარმოადგინა: „კახური კერამიკა".

ნატო მშობლიური რაიონის მეთუნეთა ცხოვრების ამსახველი მოხსენებითა და 80-ზე მეტი ნიმუშით წარსდგა თბილისში მოსწავლეთა 39-ე სასწავლო-შემოქმედებით რესპუბლიკურ კონფერენციაზე. ხუთი დღის მანძილზე თელაველთა ღირსებას იცავდა იქ, სადაც 25 სექციაში 400-ზე მეტი მოსწავლე უზიარებდა ერთმანეთს ცოდნასა და გამოცდილებას. კონფერენციაზე ნატოს ნაშრომს „კახური კერამიკა" მოწონება ხვდა, ასევე მის მიერ წარდგენილ ექსპონატებს. ეს იყო ხუთი დღის მღელვარე შეხვედრები სახელოვან მეცნიერებთან ევგენი ხარაძესთან, მარიკა ლორთქიფანიძესთან, ლევან ჭრუიძესთან და სხვებთან.

წლების მანძილზე ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში გამართულ მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებით რესპუბლიკურ კონფერენციებში მონაწილეობა ნატოსთვის აღზრდის თავისებური სკოლაც იყო.

...გოგონას მაგიდაზე ჯილდოები აწყვია; საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელი, წიგნები, სიგელები, დიპლომები. თითოეულს თავისი მისამართი აქვს და მიზანი.

ნატო კვლავ არ წყვეტს მეგობრობას ეთნოგრაფებთან, არქეოლოგებთან... გაეცნო იყალთოელ კერამიკოს ვანო მრელაშვილის მიერ წითელი თიხისაგან დამზადებულ თონეებს, ფიალებს, ჯამებს და აბრამ მრელაშვილის, გიორგი შაშვიაშვილის, აბრია შიშმანაშვილის, ცნობილი კერამიკოსის ნანა ბოტკოველის საქმიანობას. იყო სოფელ ვარდისუბანში. შეხვდა წითელი თიხის ქვევრების დიდ ოსტატს მიხეილ კბილაშვილს და ალექსი და მერაბ ყარაულაშვილების მიერ ქუსლიანი ქვევრების დამზადების პროცესსაც გაეცნო.

თავის ყველა გამარჯვებას ნატო ნორჩ მხარეთმცოდნეთა კლუბ „ბურჯს" უმადლის: თავიდანვე მომაძებნია საინტერესო საქმეო. ახლა ნატო კერამიკის წარმოებითაა გატაცებული.

ჩვენს ქვეყანაში ყველა პირობაა შექმნილი ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების აღზრდისათვის, მისი ჩამოყალიბებისათვის. შინ თუ გარეთ ნატოს ეს ზრუნვა არ მოკლებია.

მან შარშან თელავის პირველი მუსიკალური სკოლაც დაამთავრა.

...ჯერ მხოლოდ გზის დასაწყისზე დგას; ეს გზა ნათელია, მისი მერმისი კიდევ უკეთესი.

...სადაც არ უნდა ვიყო, ყოველთვის ერთგულ მეგობრად დავრჩები ჩემი რესპუბლიკის ისტორიული ძეგლებისა, ჩემს პირველ სტიპენდიას, პირველ ხელფასს მთლიანად ძეგლთა დაცვის საზოგადოების ანგარიშზე გადავრიცხავ... ჩემი თაობა სიტყვის, მოქმედების, ფიცის ერთგულების თაობაა, — ამბობს ნატო და გვჯერა ეს ასეც იქნება.. ის ხომ წლების მანძილზე, თავისი სიტყვის, დაპირების შესრულების ფრიადოსანია.

ნათელა ფაილოძე

# დედა და შვილი



მხატვარ შოთა მეტრეველის ამ სურათზე ასახულია დედა-შვილის წამება.

ქ. ნალჩიკში, ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ინახება 1942 წლით დათარიღებული აქტი, რომელშიც წერია:

„გესტაპოელებმა მხეცურად აწამეს 30 წლის ევგენია (ჟენია) მელიტონის ასული მაისურაძე და მისი ათი წლის ვაჟიშვილი ვილი. შვილს დედის თვალწინ დასთხარეს თვალები, მოაგლიჯეს ცხვირი და ყურები. დედასაც ასევე მოექცნენ, გადაუმტვრიეს ხელები, ფეხები და შემდეგ ორივე დახვრიტეს“.

საინტერესოა, ვინ იყო ევგენია მაისურაძე და როგორ მოხვდა ის ნალჩიკში.

ევგენიას ძმა, მალაქია მაისურაძე იგონებს: „1902 წელს ონის რაიონის სოფელ წედისიდან გადმოვედით ნალჩიკში. სამნი ძმანი ვიყავით და 1912 წელს და — ევგენია შემოემატა ჩვენს ოჯახს. ომი რომ დაიწყო, სამივე ძმა ფრონტზე წავედით. თედო თავიდანვე სამხედრო იყო, პოლკოვნიკი, გიორგი თბილისიდან გაიწვიეს. მე კი ლენინგრადში მოვხვდი და იქ დავკარგე მარცხენა ხელი. თედო როსტოვში დახვრიტეს გერმანელებმა, გიორგი ბრძოლაში დაიღუპა.

ევგენიას და ვილის მხეცური წამების ამბავი ფრონტზე გავიგე. ჩემი და მხიარული და ნებისყოფიანი გოგო იყო. ლაპარაკისას რაჭულად უქცევდა და ხშირად დავცინოდით. საქართველოსთან მუდამ გვქონდა კავშირი. ომი რომ არ დაწყებულიყო, უკან დაბრუნებას ვაპირებდით“...

ომმა ევგენიას და მის ოჯახს ნალჩიკში მოუსწრო. 1942 წლის ზაფხულში გერმანელებმა ნალჩიკი აიღეს. ევგენია ნალჩიკის სასტუმროში მუშაობდა ადმინისტრატორად. მისი მეუღლე ვანო (მაგომედი) მაგომაევი ფრონტზე იმყოფებოდა.

აგვისტოს ბოლოს, სოფელ ხურზუკთან, მზვერავთა ჯგუფს, რომელსაც ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების სახალხო კომისრის მოადგილე, უფროსი ლეიტენანტი ჰასან აბდულას ძე ასანოვი ხელმძღვანელობდა, მტრის ჭარბ ძალებთან მოუხდა შეტაკება. ასანოვი მძიმედ დაიჭრა, შემდეგ ნალჩიკში ჩავიდა და ევგენიას სახლს შეაფარა თავი. სექტემბრის ბოლოს ევაკუირებულებს წაყოლილი ევგენია და მისი ვაჟი ამ დროისათვის კვლავ ნალჩიკში დააბრუნა იატაქვეშეთმა. მაისურაძეები სარდაფში ცხოვრობდნენ, მეორე სართულზე კი გერმანელები იდგნენ.

22 დეკემბერს მოღალატემ გასცა ასანოვი და ევგენია. ისინი გესტაპომ შეიპყრო. ორი დღის შემდეგ კი შვილიც დააპატიმრეს. გერმანელები ცდილობდნენ გაეგოთ, სად იყვნენ პარტიზანები და რა კავშირი ჰქონდა მათთან ევგენიას. მაგრამ ვერავითარმა წამებამ და თვით შვილის მხეცურად მოკვლამ ვერ გატეხა ევგენიას ნებისყოფა.

დედა და შვილი სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლას შეეწირნენ.

დღეს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ევგენია მაისურაძის სახელი აქვს მინიჭებული. მისი სახელი საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო წიგნშიცაა შეტანილი.

# კვებითი მოშხამვები და მათი პროფილაქტიკა

ადამიანისათვის აუცილებელი და სასარგებლო საკვები პროდუქტები, შეიძლება საზიანო გახდეს მათში ბაქტერიების მოხვედრით და აქედან გამომდინარე შხამების გამომუშავებით. ამ უკანასკნელს კი ხელს უწყობს მალფუჭადი პროდუქტების — ხორცის, ძეხვეულის, ხაჭოს, არაჟანის, რძის, და სხვათა არასწორი შენახვა (სიცივის გარეშე), განსაკუთრებით ზაფხულსა და შემოდგომაზე.

ხორცის არა მარტო დაბინძურება შეიძლება ბაქტერიებით, არამედ ხორცი შეიძლება თავიდანვე იყოს დაბინძურებული, თუ ის სალმონელოზით დაავადებული ცხოველის არის. ასეთი ხორცისაგან მომზადებული კერძი სათანადო თერმიული დამუშავების გარეშე საშიშია. მაგალითად, მწვადი ნახევრად შემწვარი (ცვრიანი), მეტად საზიანოა. აქედან ადამიანის ორგანიზმში ხვდება ცოცხალი ბაქტერიები და სწორედ ისინი იწვევენ კვებით მოშხამვას, რომლის სიმძიმე დამოკიდებულია მასზე, თუ რა რაოდენობით მოხვდა ორგანიზმში ბაქტერიები. ასეთი ავადმყოფობა უფრო მძიმედ მიმდინარეობს ბავშვებსა და ხანდაზმულებში.

საკვები პროდუქტი ბაქტერიებით შეიძლება დაბინძურდეს საკონდიტრო წარმოებაშიც, სადაც უხვად გამოიყენება რძე, კვერცხი, კარაქი; დასახელებული პროდუქტებისაგან ე. ი. ნედლი მასალისაგან მზადდება სხვადასხვა სახის კრემი. კვერცხის ხმარება წინასწარ დაუმუშავებლად (იგულისხმება თბილი წყლით, საპნის სოდით გარეცხვა და შემდეგ ქლორიანი კირის გამჭვირვალე 0,2 პროცენტიანი ხსნარით დამუშავება), შეიძლება გახდეს მიზეზი პარატიფოზული ჯგუფის ბაქტერიებით ან სტაფილო სტრეპტოკოკებით მოშხამვისა. შესაძლებელია აგრეთვე, მზა კრემიანი ნაწარმის ბაქტერიოლოგიური დაბინძურება მოხდეს მათი გადაზიდვის დროსაც, სანიტარული წესების დაუცველობით და თვით სავაჭრო ქსელშიც, როცა საკონდიტრო ნაწარმის გაყიდვა სწარმოებს სანიტარული თვალსაზრისით შეუფერებელ პირობებში, ჭუჭყიანი ტარიდან და გამყიდველის მიერ უშუალოდ ხელის შეხებით, არასპეციალური ნიჩბებით (საგულისხმოა, რომ მოხარშული კრემი უფრო მეტად საშიშია, ვიდრე ე. წ. ლენინგრადული კრემი, კარაქზე მომზადებული).

ბოლო ხანებში მოსახლეობაში „ტრადიციად" იქცა ტორტი ან სხვადასხვა ნამცხვრის კერძო პირებზე ოჯახში დაკვეთა. გარდა იმისა, რომ გარკვეულ სანიტარულ პირობებში არ მზადდება ასეთი ფაქიზი სახის პროდუქტი, ხელით, შეუფუთველად გამოაქვთ ქუჩაში, რომელიც ტრანსპორტის ლოდინში მტვრის საკმაოდ დიდი ფენით იფარება.

საგულისხმოა, რომ იხვის და ბატის კვერცხი ითვლება საშიშ პროდუქტად. პარატიფოზული ჯგუფის ბაქტერიები ჩაბუდებულია კვერცხის გულში და მათი საკვებად მიღებას შეიძლება მოჰყვეს მოშხამვა. (იხვის კვერცხი საკვებად შეიძლება მივიღოთ წყლის დუღილიდან 15 წუთის ხარშვის შემდეგ, ბატის კვერცხი კი — 20 წუთი ხარშვის შემდეგ).

კვებითი მოშხამვებისათვის საშიშია ამჟავებული რძე, ამიტომ მისი საკვებად გამოყენება განსაკუთრებით ბავშვთა დაწესებულებებში, კატეგორიულად აკრძალულია.

კვებითი მოშხამვები შეიძლება გამოიწვიოს ვინეგრეტმა, რომელიც საუკეთესო ნიადაგს წარმოადგენს ბაქტერიების ზრდა-გამრავლებისათვის. დაუშვებელია, ვინეგრეტი მოვამზადოთ, შევინახოთ და მივიღოთ რამდენიმე საათის შემდეგ. ვინეგრეტის შემადგენელი ბოსტნეული — კარტოფილი, ჭარხალი, სტაფილო, კომბოსტო შეიძლება წინასწარ მოიხარშოს, მაგრამ მათი ერთმანეთში შერევა და შეზავება უნდა მოხდეს მის მოხმარებამდე 1 საათით ადრე. უნდა გვახსოვდეს, რომ კარტოფილს, ჭარხალს და სტაფილოს, ვიდრე მოვხარშავდეთ, წინასწარ ჩავალბოთ წყალში და ჩავრეცხოთ ჯაგრისით, დაზიანებული ნაწილები ამოვაჭრათ და მხოლოდ ამის შემდეგ მოვხარშოთ.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მაიონეზის ხმარების წესების დაცვა. იგი სასარგებლო და გემრიელი საკვები პროდუქტია, მაგრამ მოითხოვს დიასახლისების, საზკვების მუშაკებისა და სავაჭრო ობიექტების მუშაკების ყურადღებას; პროდუქტი მალფუჭადია და უნდა ინახებოდეს მხოლოდ მაცივარში, რომლის რეალიზაციის ვადა განისაზღვრება 80 დღით. სამწუხაროდ ეს სავალდებულო წესი ხშირად არ სრულდება მაღაზიებში და უმაცივროდ აწყვია ხოლმე დახლებზე.

კვებითი მოშხამვების მიზეზი შეიძლება გახდეს არა მარტო ხორცი, ხორცის ნაწარმიც; ზაფხულში განსაკუთრებით საშიშია ძეხვი „ლივერი", რომელსაც შენახვის და რეალიზაციის ძალზე მცირე ვადა აქვს (12 საათი) და მათი რეალიზაცია არავითარ შემთხვევაში არ უნდა სწარმოებდეს სიცივის რეჟიმის დაუცველად.

საკვები პროდუქტების ბაქტერიოლოგიური დაბინძურების მიზეზი შეიძლება გახდეს — კვების წარმოების, საკონდიტროს, საზოგადოებრივი კვების და თვით სავაჭრო ქსელის მუშაკები, თუ ისინი აღმოჩნდნენ ნაწლავთა ინფექციურ დაავადებათა ბაქტერიამტარებელნი. ასეთი პირები ხშირად თავს გრძნობენ კარგად, ჯანმრთელად და სწორედ ამიტომ არიან ისინი უფრო მეტად საშიშნი სხვებისათვის, მით უფრო, თუ ისინი არ იცავენ პირად ჰიგიენას, მუშაობენ ჭუჭყიანი ხელებით, რითაც შეიძლება საკვები პროდუქტების დაბინძურება. აქ მეტი კონტროლი მართებთ სანეპიდსადგურის მუშაკებს; საკვები პროდუქტების დაბინძურება შეიძლება მოხდეს იგივე ზემოთ მითითებული მუშაკების მიერ, თუ ისინი დაავადებულნი არიან ანგინით და კანის ჩირქოვანი დაავადებებით. ისინი გამოყოფენ სტრეპტო სტაფილოკოკებს და ასეთი პირები განსაკუთრებით საშიშნი არიან საკონდიტრო და რძის საწარმოებში, ვინაიდან კრემიან და რძის ნაწარმში დასახელებული ბაქტერიები კარგად და სწრაფად მრავლდებიან და გამოყოფენ შხამებს.

ჩვენ გესაუბრეთ კვების პროდუქტების ბაქტერიოლოგიურ დაბინძურებაზე — ისმის კითხვა, კვებითი მოშხამვები მხოლოდ ბაქტერიოლოგიური ხასიათისაა თუ სხვა მიზეზსაც შეუძლია გამოიწვიოს დაავადება. რასაკვირველია, შეუძლია. ესაა ქიმიური მინარევები, სხვადასხვა შხამქიმიკატები, რომლებიც შეიძლება აღმოჩნდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტებში.

სოფლის მეურნეობაში შხამქიმიკატების ხმარება რეგლამენტირებულია და ზოგიერთი პრეპარატი საერთოდ ამოღებულია ხმარებიდან — ასე, მაგალითად, დდტ ზეთოვანი, რომლის ხმარება აკრძალულია, როგორც ხილბოსტნეულისათვის, ასევე მესაქონლეობაშიც (სამკურნალოდ). ამ მხრივ სანეპიდსადგურის სისტემატიური კონტროლია საჭირო.

უნდა გახსოვდეთ, რომ ხილისა და ბახჩეულის ხმარების წინ საჭიროა მისი კარგად გარეცხვა. ჩვენ სამწუხაროდ ხშირად ვხვდებით, როდესაც საზამთროსა და ნესვს ყოველგვარი წინასწარი გარეცხვა-გამშრალების გარეშე გაჭრიან, რითაც გარე ზედაპირზე არსებული შხამქიმიკატი ან მიწის ნაწილაკები შეაქვთ ნაყოფში, ამის გამო შეიძლება მოხდეს მოშხამვა.

ლ. გარინოვსკი,
საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი.

# „ენძელა“ იმედია გაზაფხულისა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

... „საჭიროა კარდინალური ღონისძიებანი, რომლებიც გამორიცხავს წუნიანი ნაწარმის, მდარე ხარისხის საქონლის გამოშვებას“.

x x x

გამთენიისას ზარის წკრიალმა გამომაღვიძა. ჩემი მეგობარი სალომე მირეკავდა, სასწრაფოდ ჩაიცვი და ჩემთან მოდიო.

— მოხდა რამე? — ჩავძახე მთრთოლვარე ხმით.

— აქ გაიგებ, — მომიჭრა სალომემ და ყურმილი დაკიდა.

ფიქრის დროც არ იყო. რამდენიმე წუთში მასთან გავჩნდი. კარი სალომეს დედამ გამიღო და შესვლისთანავე აღელვებულმა ჩამჩურჩულა: — სალომე საპატარძლოდ ემზადება, ქორწილი შაბათისთვის არის დანიშნული, თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ...

— მაგრამ მეც წავიჩურჩულე და გაურკვეველი გრძნობით შევაბიჯე ჩემი მეგობრის ოთახში. ის ნამტირალევი დამხვდა, სავარძელში ფეხმორთხმით იჯდა და სველ ცხვირსახოცს აწვალებდა. — წარმოგიდგენია, კაბა ვერ ვიშოვეთ, — განერვულებულმა შემომჩივლა.

— სად არ ვეძებეთ და არსად არის; ქორვაჭრებთანაც კი მივედი, მაგრამ ძალზე ძვირი დამიფასა. მამაჩემის ამბავი ხომ იცი, ქორვაჭრების გასამდიდრებელი ფული სადა მაქვსო. რა ვქნა, არ ვიცი. არადა, სამ დღეში ქორწილია.

— რომ შეაკერინო? — ფრთხილად შევთავაზე.

— სამ დღეში ვინ შეგიკერავს, — შემომიტია სალომემ, — თანაც მკერავების ამბავი ხომ მოგეხსენება... იქნებ შენ ურჩიო მამაჩემს, რომ ისევ „ხელზე“ მიყიდონ. ხომ იცი, შენი როგორა სჯერა.

— სალომე, შენი ხათრით ყველაფერს გავაკეთებ, მაგრამ მამაშენისა მეც ძალიან მერიდება. მოვიფიქროთ რამე, როგორ ვერ ვიშოვით, მაღაზიაში, იქნებ...

— რა? იქნებ „ბახტრიონის“ მარკით გამოშვებული რომელიმე საქორწილო კაბა შემომთავაზო? მერედა, რა უნაკლოდ იქნება შეკერილი! — მომაკვდინებელმა ირონიამ გამოჟონა ჩემი მეგობრის ხმაში.

— ხომ არის სპეციალიზებული ატელიებიც, — ჩავილაპარაკე ხმადაბლა.

— ღმერთო ჩემო, ნუთუ ყველაზე ბედნიერ დღეს ფული გენანებათ ჩემთვის, რომ ხეირიანი კაბა ჩავიცვა. რომელი ატელიეს ნაწარმს მთავაზობ მაინც, ძვირფასო?!

შეწუხებული შევცქეროდი ჩემს სასოწარკვეთილ მეგობარს და თითებს ვიმტვრევდი.



ანზორ გოგოლაძის ფოტო

პატარძალი საქორწილო კაბაში

სალომეს მამასთან დიპლომატიურ მოლაპარაკებას ვერ გავბედავდი. ის მთელს ქალაქში პატიოსნებით ცნობილი პიროვნება გახლდათ და უკანონობას არც შვილის ხათრით ჩაიდენდა და არც სახსარი გააჩნდა საამისოდ, მაგრამ სალომეც მართალია, ქორწილი ხომ ერთხელ არის ცხოვრებაში და გვინდა ყველაფერი, ყველაზე ლამაზი, მშვენიერი და ამაღლებული ამ დღეს დაუკავშირდეს... უცებ ერთი აზრი მომივიდა, ხელებში თავჩარგულ სალომეს თანაგრძნობით გადავხედე, ფრთხილად გამოვედი მისი ოთახიდან და კიბეზე დავეშვი.

ცოტა ხნის შემდეგ ნაცნობ შენობას მივადექი. ეს გახლავთ საყოფაცხოვრებო მომსახურების სადღესასწაულო საწარმოო კომბინატი „ენძელა“. პირდაპირ უფროსის კაბინეტს მივაშურე. ოთარ რჩეულიშვილმა თავაზიანად მიმიღო, სკამზე მიმითითა და მკითხა: — საქორწილო კაბის შეკერვა გნებავთ?

— დიახ, ვუპასუხე უყოყმანოდ. ქალთა განყოფილებიდან მკერავ-შორთელიორი ამალია ამირხანოვა იხმო და, სანამ მკერავი მოვიდოდა, მე მომიბრუნდა:

— ფეხსაცმლის შეკერვაც თუ გნებავთ ან კოფთის მოქსოვა, შეგვიძლია მოგემსახუროთ. კაბით კი უკმაყოფილო არ დარჩებით. ჩვენთან მაღალკვალიფიციური ოსტატები მუშაობენ, დროზე ჩაგაბარებენ კაბას, ლალატი არ გვჩვევია, უკვე თექვსმეტი წელია „ენძელა“ არსებობს და საყვედურზე მეტი მადლობა მიგვიღია ახალდაქორწინებულთაგან.

ამალია ამირხანოვა სასიამოვნო გარეგნობის ქალი აღმოჩნდა. გულთბილად გამიღიმა, მხრებზე ხელი მომხვია, წამიყვანა და თანამოსაქმეები გამაცნო. ლია ქიმერიძე, იზოლდა მიქაელიანი, მარინე ბურუჩაშვილი, ელზა გასპარიანი, ზინა ხაჩატურიანი, მარინე იზმაილოვა. — ერთი ოჯახივით ვართო — მითხრა.

— როგორი კაბა გნებავთ, ჯერ თქვენ მითხარით, მერე კი მე შემოგთავაზებთ, იქნებ ჩემი რჩევაც დაგიჯდეთ ჭკუაში. ჩემს ხელში იმდენ საპატარძლოს გაუვლია, რომ გამოცდილება არ მაკლია ამ საქმეში, ოღონდ სჯობს ქსოვილი თავად მოიტანოთ. ჩვენთან მომარაგების საქმე ვერ არის რიგზე. ზოგჯერ უხარისხო ქსოვილით გვამარაგებენ, ხან კი რაოდენობა არ არის საკმარისი, ასეთ შემთხვევაში მომხმარებელი უკმაყოფილო რჩება, თუმცა ჩვენ არა ვართ დამნაშავენი.

— მერედა, სამ დღეში მოასწრებთ შეკერვას? მე ხომ ქორწილი ამ კვირის ბოლოს მაქვს, დამიგვიანდა მოსვლა, — მობოდიშებით გადავხედე მკერავებს. მათ გამამხნევებლად გამიღიმეს და დამამშვიდეს:

— უთუოდ მოვასწრებთ, მეტს ვიმუშავებთ, მაგრამ პატარძალს არ ვაწყენინებთ.

— ყველას უკვირს ხოლმე, რომ დროზე ვაბარებთ შეკვეთას, ეს კი რა გასაკვირია. თუმცა ხალხი მიეჩვია მკერავების დაუდევრობას. ზოგმა არც კი იცის ჩვენი კომბინატის არსებობა, ზოგიც არ გვენდობა. რას იზამთ, მათი ეჭვი არც თუ უსაფუძვლოა, მაგრამ მაინც გულსატკენია ჩვენთვის...

— წინათ მხოლოდ ჩვენ ვკერავდით საქორწილო კაბებს, ახლა კი ყველა ატელიეში შეიძლება დაუკვეთოთ. მერე მაინც ჩვენთან მოდიან და გვთხოვენ ხოლმე, იქნებ რამე უშველოთ ამ კაბასო.

— ასეა, ნათქვამია, პური მეპურეს უნდა გამოაცხობინოო, — ერთმანეთს არ აცლიდნენ ქალები.

ახლა კი დრო იყო, გამემხილა ჩემი მისვლის ნამდვილი მიზანი. ჰოდა, მეც არ დავაყოვნე და მოვუყევი ქალებს ჩემი მეგობრის გასაჭირი. ბევრი იცინეს. მერე კი მითხრეს: — ნუ გეშინია, ახლავე მოიყვანე ის შენი სალომე და ნახავ რა გახარებულს გავუშვებთ აქედან. მერე, თუ გინდა ნურც გაამხელს, რომ ჩვენთან შეიკერა კაბა, ახლა ფირმის მოდაა. თქვენი თანამშრომლები სულ აქ უკერავენ კაბებს პატარძლებს. ამ გასათხოვარ გოგონებსაც ჩვენს კაბებში გამოვაწყობთ, თუკი სიძეები მოგვეწონება. არც შენ დაგტოვებთ გულნაკლულს, რახან ასეთი თავდადებული მეგობარი ყოფილხარ, ერთ კარგ კაბას არც შენ დაგამადლით ქორწილისათვის, მერე კი შურით აივსონ ის თქვენი ნაცნობები, დღეს რომ ცხვირს იბზუებენ ჩვენი შეკერილი კაბების ხსენებაზე. განა ყველა ერთ ტაფაში უნდა მოხრაკონ? წადი, მოიყვანე, ნულარ აგვიანებ.

დიდი დიპლომატია, მოთმინება და არტისტიზმი დამჭირდა სალომეს „ენძელაში“ მისაყვანად, მაგრამ ყველაზე მეტად ის მიხაროდა, რომ სალომეს მამამ მადლობით მითხრა: ყოჩაღ, შვილო, შენი იმედი მუდამ მქონდაო. მკერავებსაც დიდი მოთმინება დასჭირდათ, სანამ სალომეს სიჯიუტესა და ჭირვეულობას გასტეხდნენ. კაბის მოდაც შევარჩიეთ, მაგრამ ჩემი მეგობარი მაინც ბუზღუნებდა გზაში:

— სულ ერთია, მე რომ მინდა, ისეთი მაინც არ იქნებაო. კაბის ჩასაზომებლად რომ მივყევი, ტრიკოტაჟის განყოფილებიდანაც შემოგვიერთდნენ ანტონინა შეველიოვა და ქეთუნა წიკლაური. ისინიც თავს დასტრიალებდნენ სალომეს, რომელიც უკმაყოფილო სახით იდგა სარკესთან და იჭვნეულად შესცქეროდა კაბას, ცდილობდა რაიმე ნაკლი ეპოვა.

უნდა გამოგიტყდეთ, პირველად მეც შიშით შევათვალიერე მათი ნახელავი, თან ვფიქრობდი, ვაი რომ კარგი არ გამოვიდეს, სალომეს საყვედურებს რა გადაურჩება-მეთქი, მაგრამ როცა ჩემს მეგობარს სახე გაუნათდა, მეც შვებით ამოვისუნთქე და მხრებში გავიშალე.

— ძალიან კარგია, აბა რა გეგონათ, ჩვენთან უხარისხოს არაფერს აკეთებენ — სიამაყით გვეუბნებოდა ოლღა ძებისაშვილი — ჩემს რძალსაც აქ შევუკერე კაბა, მერე კი მეგობრებიც მოიყვანა. სულ მოდების ჟურნალიდან ვქსოვთ და ვკერავთ.

მესამე დღეს კაბა მზად იყო. თეთრად მოლივლივე, ქათქათა, მსუბუქი და ღრუბელივით გამჭვირვალე სამოსი სალომეს ერთიორადალამაზებდა. საოცრად უხდებოდა მაქმანებიცა და ნაოჭებიც.

— შენისთანა პატარძალი მეორე არ იქნებაო, — შეაქეს, როცა გაღიმებული და სახეფაკლული სალომე სარკეში იყურებოდა და ყურადღებით ათვალიერებდა საკუთარ გამოსახულებას. ჩანდა, რომ კმაყოფილი იყო.

— მართლა, რა კარგია, არა? — მომიბრუნდა უცებ კეკლუცად.

— მერედა, როგორ გხატავს! — შევაქე გულწრფელად — ფაქიზი, უნაკლო ნამუშევარია, თანაც დროზე შეკერეს, შენ კი არა გჯეროდა, — ცოტა საყვედურიც გავურიე გულმოცემულმა.

— ახლაც არა მჯერა, — მხრები აიჩეჩა სალომემ, — არც კი ვიცოდი, თუ ასეთი ატელიე არსებობდა. ასე მგონია, მხოლოდ ჩემთვის გამოიდეს თავი. სწორედ ისეთი გამოვიდა კაბა, როგორიც მინდოდა.

— ჩვენ გვინდა ყველა პატარძალი ლამაზი იყოს. ნეტავ იმრავლონ პატარძლებმა და სამუშაო ვერ შეგვაშინებს, — უპასუხეს გახარებულმა მკერავებმა. — ხომ კმაყოფილი ხარ? — ვკითხე სალომეს, როცა კაბა სათუთად შეუხვიეს და ბედნიერება უსურვეს, თან აკვანთა სიმრავლეც დაუბედეს.

— შენ ნამდვილი მეგობარი ხარ, — მითხრა და ლოყაზე მაკოცა. გამელიმა, სალომეს უყვარს პათეტიკა, მაგრამ მუდამ გულწრფელია და უშუალო. ამიტომაც გადაკოცნა ის მკერავი ქალები, რომლებმაც გულთბილად გამოგვაცილეს. ქორწილშიც კი დაპატიჟა ისინი.

— წარმოგიდგენია? — მაინც წამოსცდა გზაში თავისი საყვარელი სიტყვა, რომ ვეტყვი, არც კი დაიჯერებს ჩემი მეუღლე.

— შენც უთხარი, რომ იყიდე, — ვურჩიე, — მაინც ვერაფერს მიხვდება.

— ჰო, ჯერ ასე ვეტყვი და, რომ მოიწონებს, მერე გავუმხელ. რა იქნება, რომ ყველგან ასე მუშაობდნენ, მაშინ ხომ არავინ გადაიხდის კაბაში ცეცხლის ფასს, — დანანებით თქვა სალომემ.

— მალე ასეც იქნება, — ვუპასუხე დარწმუნებულმა.

— მაგრამ ჯერჯერობით ხომ არ არის ასე, თანაც ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო, ხომ გაგიგონია?

— მაგრამ ენძელა ხომ იმედია გაზაფხულისა, — მოვუჭერი სიტყვა.

ირინე კუკავა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დოყლაპიები

თბილისში, ხორავას ქუჩის № 7 სახლში, რბილი ავეჯით მორთულ ოთახში ცოლ-ქმარი ოფელია და სურენ კნიაზიანები მასპინძელს ნინო ქვლივიძეს სასოებით უსმენენ.

— ასე რომ, მშვიდად იყავით, ასი პროცენტით გარანტიას გაძლევთ, თქვენი გოგონა წლეულს თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ინგლისური ენის ფაკულტეტის სტუდენტი გახდება, — განათლება: აი ბედნიერების გზა. — ასე ბრძანა ბესარიონ ბელინსკიმ...

— ეს ბესარიონ ბელინსკი ვინღაა, კაცო. — გადაუჩურჩულა ქმარს ოფელიამ.

— ჩუმად, ქალო, ყველგან შენი უვიცობა უნდა გაამჟღავნო. ბელინსკი, ალბათ, მიმღები საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეა, პროფესორი...

ნინო ქვლივიძე კი სავარძელში გადაწოლილიყო, თვალები მაღლა აეპყრო და მეოცნებე, დამრიგებლური ტონით მოძღვრავდა ცოლ-ქმარ კნიაზიანებს:

— ჰოდა, ამას მოგახსენებდით, ჩემო ბატონო, — განაგრძობდა დიასახლისი, ერთი სიტყვით, ყველაფერი მოგვარდება, მაგრამ ხომ იცით, მიმღები კომისიის თავმჯდომარეს, კომისიის წევრებს პატივისცემა უნდათ. მე მათთან არ ჩამთვალო, მე თქვენი ხათრითა და პატივისცემით ვაკეთებ ყველაფერ ამას, თქვენ ისეთი კაცის სახელით მოხვედით, მაგაზე როგორ დაგზარდებით. თანაც, თქვენი გოგონა რომ ჩაირიცხება ჩვენს ინსტიტუტში, ჩემი სტუდენტი იქნება, მე ეს ინსტიტუტი მაქვს დამთავრებული, აქვე დამტოვეს ინგლისური ენის მასწავლებლად. ვინ იცის, იქნებ თქვენი სვეტლანაც დატოვონ, მეც გვერდში ამოვუდგები...

ქალიშვილის მომავლით თვალებგაბრწყინებული ცოლ-ქმარი ფეხზე წამომდგარი უსმენდნენ მომხიბლავ დიასახლისს.

— გვიმსახურეთ, თქვენი ჭირიმეთ, — ერთხმად წამოიძახეს მათ. რამდენია საჭირო?

— პირველ ხანებში 10 000 მანეთი.

სურენ კნიაზევს 10 000 მანეთის გაგონებაზე ფერი ეცვალა, მაგრამ მეუღლის მწყრალ თვალებს რომ წააწყდა, ფული ზლაზვნით ამოიღო ჯიბიდან და ნინო ქვლივიძეს 10 000 მანეთი ჩაუთვალა.

— ოღონდ, ქალბატონო ნინო, გოგოს ჩარიცხვაზე დაიმედებულნი ვიყოთ?..

დიასახლისი, რომელიც ფულის დათვლას თვალებმონუსხული უყურებდა, ერთბაშად გაკაპასდა. — ეს რა მკადრეთ, რაო, ეჭვი გეპარებათ? იცით რა, ეს ფული უკანვე ჩაიდეთ ჯიბეში, არ არის საჭირო. როცა თქვენი ქალიშვილი ინსტიტუტში ჩაირიცხება, ფული მაშინ მომიტანეთ.

— ნუ ხარ წუწურაქი, შე კაცო, — უჩქმიტა ქმარს ოფელიამ. — რაღაც 10 000 მანეთისათვის ქალიშვილს მიღუპავ? — შემდეგ დიასახლისს მიუბრუნდა, არ გაგვიჯავრდეთ, დაგენაცვლეთ, ეს ისე, ხომ იცით, მშობლები ვართ...

— ჰო, კარგი, კარგი, თქვენი ქალიშვილი ჩარიცხულად ჩათვალეთ. ახლა თავისუფალი ხართ.

ოფელია და სურენ კნიაზიანები აღტაცებულნი გამოეთხოვნენ მასპინძელს.

როცა ცოლ-ქმარი წავიდნენ, ნინო ქვლივიძემ დატოვებული ფულიდან 500 მანეთი აიღო, დანარჩენი დაუდევრად ჩააგდო საწერი მაგიდის უჯრაში. ამ დროს ქუჩიდან მანქანის სიგნალის ხმაც გაისმა.

— მობრძანდა ვაჟბატონი. ალბათ ქეიფის გუნებაზეა. მეც არ მაწყენდა ერთი კარგი დროსტარება. ამის საფუძველიც მაქვს.

ხუთი წუთის შემდეგ ელეგანტურად ჩაცმული ნინო ქვლივიძე სადარბაზოდან გამოვიდა და ვასილ დოგუზაშვილის გაზ-24 № 66-01 მანქანაში ჩაჯდა.

— პრივეტ, ვასიკოჯან, დღეს კარგ ხასიათზე ვარ. ერთი მცხეთისაკენ გავინავარდოთ, ჩვენ რომ გვიყვარს, ისეთი პური ვჭამოთ, მერე კი შენს განკარგულებაში ვარ...

— შენი ხმალი, ჩემი კისერი...

ნინო ქვლივიძემ 1972 წელს დაამთავრა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ინგლისური ენის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო სახელმწიფო ბანკში, ცოტა ხნის შემდეგ მუშაობა მიატოვა და თავს თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორად და ყოვლისშემძლე ქალად ასაღებდა. სანდომიანი გარეგნობით, კარგი სიტყვა-პასუხით, დახვეწილი მანერებით ნინო ქვლივიძე ახლად გაცნობილთ სწრაფად განაწყობდა მისდამი ნდობით.

სურენ კნიაზიანის ქალიშვილი სვეტლანა პირველსავე გამოცდაზე ჩაიჭრა. სურენი გაცოფებული მიუვარდა სახლში ნინო ქვლივიძეს: რა მიქენი, ქალო, დამიღუპე შვილი, ეხლავე ფული დამიბრუნე, თორემ...

— თორემ რა, ყურებზე ხახვი არ დამაჭრა! რას ყვირი, რომ ყვირი, მე მემუქრები, მე? ხა, ხა, ხა, ხა, შენ ხო იცი, რამე რომ წამოაყრანტალო, შენც ისევე დაისჯები, როგორც მე... შენი ფული გამეხარჯა! მოიცა, მოიცა, თუ ჭკუით იქნები იმ ფულს სულ მალე დაიბრუნებ და ხეირსაც ნახავ.

— ეს როგორ?

— ძალიან უბრალოდ: დოყლაპიების მეტი რაა ამ ქვეყანაზე! ჰო მოიცა, მოიცა, ნუ იღუშები, შენ არ მყავხარ მხედველობაში. ერთი კარგი გეგმა მაქვს: შენ კლიენტებს მომიყვან, ვისაც შვილების მოწყობა სურთ უმაღლესში. მათ დააჯერებ, რომ მე ყოვლისშემძლე ქალი ვარ, ფულს მე გამოვართმევ, შემდეგ კი თანაბრად გავიყოფთ. — აბა, მოდის?

— აქ, შეიძლება კაცმა ხელი გვარიანად მოითბოს და თანაც კარგადაც. — გაიფიქრა სურენ კნიაზიანმა და ნინო ქვლივიძის გამოწვდილ მარჯვენას მარჯვენა შეაგება.

— რას ამბობთ, მე თქვენ როგორ გიღალატებთ! ნინო ქვლივიძის სიტყვა კანონია. ჯერ არ შეგპირდებათ და თუ შეგპირდათ, ჩათვალეთ, რომ თქვენი ქალიშვილი მზია მოსკოვის კოოპერატიული ინსტიტუტის თბილისის ფილიალის სტუდენტია. ეს კია, რომ, დამეთანხმება თუ არა, არ ვიცი. მე ჩემი მხრივ ვეცდები. — ვნახო რამდენს იღებს? — ბევრს არა, 15 000 მანეთს. ფული რა სახსენებელია, მთავარია, დათანხმდება თუ არა. თუ დავითანხმე, პროფილის ცნობას, ამონაწერს შრომის წიგნაკიდან, სამსახურებრივ დახასიათებას თვითონვე გაგიმზადებს. — ეუბნებოდა სურენი მარიამ მამულაშვილს. — აბა, აი ასეთი ქალია ნინო ქვლივიძე.

მეორე დღეს სურენი მოჩვენებითი მოწიწებით შეუძღვა ხორავას ქუჩაზე, ნინო ქვლივიძის სახლში მარიამ მამულაშვილს.

როცა საქმის შინაარსი მოისმინა, დიასახლისი შეიჭმუხნა და სურენს უსაყვედურა: — ხომ იცი პატივცემულო სურენ, ლექტორი ქალი მაგნაირ საქმეებში არ ვერევი, მაგრამ თქვენგან ისეთი დავალებული ვარ, უფლება არა მაქვს უარი გითხრათ. კარგი. ამ ქალბატონს შეუძლია თავისი ქალიშვილი ინსტიტუტში ჩარიცხულად ჩათვალოს. არა, არა, ფული ახლა არ დამიტოვოთ. ოთხი დღის შემდეგ მოხვალთ, მანამდე მე დანარჩენ საბუთებს გაგიმზადებთ და ფულზე მაშინ ვილაპარაკოთ.

მართლაც „ყოვლისშემძლე" ნინო ქვლივიძემ შესძლო მზია მამულაშვილის სახელზე გაემზადებინა ამონაწერი შრომის წიგნაკიდან და დახასიათება, ყალბი ცნობები გარდაბნის რაიონის კოჯრის მომხმარებელთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მ. მეფარიშვილის ხელმოწერით.

— აი, ეს ცნობები ქალბატონო მარიამ, სხვა საბუთებს დაურთეთ და ჩვეულებრივი წესით შეიტანეთ ინსტიტუტში. მე უკვე ველაპარაკე მიმღები კომისიის თავმჯდომარეს. ამ 15 000 მანეთსაც მას გადავცემ. ეს ყველაფერი სურენის პატივისცემით კეთდება.

მზია მამულაშვილი პირველსავე გამოცდაზე ჩაიჭრა. 15 000 მანეთი ნინო ქვლივიძემ მიითვისა.

გარიგება მოხდა. შვილის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მოწყობის იმედით ეთერ დემეტრაშვილმა დიდი გაჭირვებით შეაგროვა 7 300 მანეთი და ქვლივიძეს გადასცა.

— იცოდე, მეორედ ასეთი გატყაული არ მომიყვანო. რას ჰგავს ეს, 10 000 მანეთი ვერ შეუგროვებია...

— ნინოჯან, ისე ლაპარაკობ, თითქოსდა მოწყობის ასპროცენტიანი გარანტია გქონდეს. ჰო, კარგი, კარგი, ნუ მიჯავრდები. მაგ ქალს 7 300 მანეთის მეტი ფული აღარა აქვს, მაგრამ არა უშავს, შინ ერთი კარგი ხალიჩა აქვს, მისი ფასი 1 400 მანეთია, მე ველაპარაკე, ის თანახმაა ხალიჩა მოგართვას.

— სურენ, შენ ხანდახან კარგი აზრებიც გებადება. აბა, დროს ნუღარ დავკარგავთ, შენი მანქანით წავიდეთ.

რამდენიმე წუთში სურენ კნიაზიანი და ნინო ქვლივიძე ეთერ დემეტრაშვილთან მივიდნენ და ხალიჩა წამოიღეს. დემეტრაშვილის ხალიჩამ ქვლივიძის ბინა დაამშვენა.

ვასილ დემეტრაშვილი მეორე გამოცდაზე ჩაიჭრა. 7 300 მანეთმა და ხალიჩამ კი ჩაილურის წყალი დალია...

ერთ დღეს, ნინო ქვლივიძეს სახლში შოთა ბაინდურაშვილი მისი ქალიშვილით — დალით ეწვია.

— ქალბატონო ნინო, თქვენთვის ჩამიბარებია ჩემი ქალიშვილი და ეს 10 000 მანეთი. აიჩემა, გინდა თუ არა, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგროქიმიური ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე მინდა მოწყობაო. თქვენი იმედი მაქვს...

ნინომ ფულს ზედაც არ დახედა. ეგ საქმე ცოტა ძნელია. დღეს ინსტიტუტში შევიარე და შემთხვევით გავიგე, რომ აგრო-ქიმიურ ფაკულტეტზე ჩარიცხვის მსურველი წლეულს იმდენია, რომ ერთ ადგილზე თითქმის 20 კაცამდე მოდის. მაგრამ არა უშავს. დალის შეუძლია თავი უკვე სტუდენტად ჩათვალოს.

მხოლოდ ორი დღის შემდეგ გაიგო შოთა ბაინდურაშვილმა, რომ იმ წელს საერთოდ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში აგროქიმიური ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე მიღება არ წარმოებდა. 10 000 მანეთიდან მან დიდი წვალებით მხოლოდ 6 000 მანეთის დაბრუნება შეძლო.

საიდან სადაო, წმინდა საბაო, — გაუკვირდება მკითხველს, მაგრამ ფაქტია და რა ვქნათ. ერთ დღეს ნინოს უცხო სტუმარი ეწვია.

— მე, ჩემო ბატონო გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯელი აკაკი ყოლბაია გახლავართ. აი, ჩემი ბიჭის გიას საბუთები და 10 000 მანეთი. უარი არ მითხრათ ქალბატონო ნინო, სანდო ხალხი ვართ. ახლა ჩვენ წავალთ, და აბა თქვენ იცით.

აკაკი ყოლბაია გასული არ იყო, რომ კარზე კაკუნი გაისმა. კართან 60 წლამდე მიღწეული ყაბალახიანი კაცი იდგა.

— გამარჯობათ ქალბატონო ნინო, თქვენთან წერილი გამომატანეს. მე ონის რაიონის სოფელ ღარიდან გახლავართ ტოპიშა ქელაძე. კი, ქვე შენი ჭირიმე, ცოტა გამიჭირდა, ამ ჩემმა ბიჭმა აიჩემა, გინდა თუ არა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ეკონომიკის ფაკულტეტზე მინდა მოწყობაო და აბა თქვენ იცით. ეს პატარა საჩუქარიც მოგიძღვენით. გაკეთებული არ გეგონოთ... წმინდა ხვანჭკარაა. ათი ლიტრაა, ამხელა გზაზე მეტი ვერ ვათრიეთ...

— რაო, ხვანჭკარაო, თანაც ათი ლიტრა. ჭკუაზე ხომ არ შეირყა ეს ბებერი. ათი ლიტრა ხვანჭკარის ფასად აპირებს შვილის მოწყობას უმაღლესში? მაგრამ რას ვკარგავ. — ამის გაფიქრებაც ვერ მოასწრო ნინო ქვლივიძემ, რომ ტოპიშამ სათუთად გახვეული ფული ამოიღო. აი შვილო და რძალო, აქ 10 000 მანეთია და აბა შენ იცი...

გია ყოლბაია გალის რაიონიდან თბილისში გამოცდების ჩასაბარებლად საერთოდ არ ჩამოსულა. ავტოავარიაში მოყვა და მძიმედ დაშავდა. ფული 10 000 მანეთი ქვლივიძეს ხახვივით შერჩა, ხოლო ტოპიშა ქელაძის ბიჭი ბადრი პირველსავე გამოცდაზე ჩაიჭრა. ვინ იცის რამდენჯერ ჩამოვიდა ონის რაიონიდან დედაქალაქში ტოპიშა, რათა ქვლივიძესათვის გადაცემული 10 000 მანეთი მიეღო. როგორც იქნა დიდი წვალებით, მხოლოდ 2 375 მანეთი დაიბრუნა. 7 635 მანეთი კი ნინო ქვლივიძემ მიითვისა.

ნინო ქვლივიძე შინაურებსაც არ ინდობდა. მის ახლობელ ნათესავს მანველიტა ჩხიკვიშვილს — 10 200 მანეთი დასტყუა. ფულის დაბრუნებას, რომ ვერ მიაღწია, მანველიტა ჩხიკვიშვილმა შეძლო ნინო ქვლივიძის მეგობრის ვასილ დოგუზაშვილის კუთვნილი ავტომანქანის (გაზ 24 № 66-01) წაყვანა. ნინო ქვლივიძე კი უდოგუზაშვილოდ ერთი დღეც ვერ ძლებდა, ამიტომ სასწრაფოდ დააბრუნა 10 200 მანეთი.

საგარეჯოელ მარგარიტა როჭიკაშვილს სულ თავგზა აუბნია ნინო ქვლივიძემ.

— რა ვქნა ქალბატონო მარგარიტა, საკანდიდატო დისერტაცია მზადა მაქვს. აქ, უცხო ენათა ინსტიტუტში, სადაც ინგლისურ ენას ვასწავლიდი, ძალზე გადატვირთული ვარ მეცნიერული საქმიანობით, ზუგდიდში კიდევ მშობლები მიტოვებული მყავს... მამა პასუხისმგებელი მუშაკია, ჩემი ცხოვრებაც ვერ მომიწყვია... აქ კიდევ ათასი მეგობარი, ნაცნობი, ათასი თხოვნა...

— მარგარიტა როჭიკაშვილმა ქვლივიძეს 5 000 მანეთი ძალად „შეაჩეჩა", მაგრამ მის ქალიშვილს ამან ვერ უშველა. მისაღებ გამოცდებზე საჭირო ქულათა რაოდენობა ვერ მოაგროვა, რის გამოც ინსტიტუტში ვერ მოხვდა.

ალექსანდრა ზურაბიშვილმა, მცხეთის რაიონის სოფელ ძეგვში, ვ. დოკუზაშვილის სახლში გაიცნო ნინო ქვლივიძე და 1 000 მანეთი გადასცა მისი ძმისშვილის ქ. ზურაბიშვილის უცხო ენათა ინსტიტუტის ინგლისური ენის ფაკულტეტზე მოსაწყობად. აბიტურიენტი ქ. ზურაბიშვილი პირველსავე გამოცდაზე ჩაიჭრა.

ალექსანდრა ზურაბიშვილმა, რომ იტყვიან რკინის ქალამანი ჩაიცვა, რკინის ჯოხი ხელში დაიკავა და ხორავას ქუჩაზე სახლი აუტალახიანა ნინო ქვლივიძეს.

ნათელა ხორხელიას, სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირში მცხოვრებ გივი ვარდიაშვილს, საჩხერელ მედეა აბრამიშვილს დღესაც სანანებლად აქვთ ნინო ქვლივიძის გაცნობა, რასაც წყალში გადაყრილი ათასები და გაცრუებული იმედები მოყვა.

დიდ რუს მწერალს ლევ ტოლსტოის ასეთი გამოთქმა აქვს: — კარგი გრძნობაა გრცხვენოდეს ადამიანებისა, მაგრამ უმჯობესია საკუთარი თავის გრცხვენოდესო. ნინო ქვლივიძესა და სურენ კნიაზიანს კი არაფრის რცხვენოდათ, სასამართლოზე თავაწეულნი, უსირცხვილოდ ჰყვებოდნენ, როგორ აქეზებდნენ დოყლაპიებს ქრთამის მიცემაში. ქვლივიძის მიერ გამოძალულმა თანხამ 110.600 მანეთი შეადგინა, საიდანაც მან პირადად 48 025 მანეთი მიითვისა.

დამთავრდა მათი პარპაში. სასამართლოს განაჩენით ნინო ქვლივიძეს 12 წლით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის საერთო რეჟიმის კოლონიაში მოხდით, ქონების კონფისკაციით, სასჯელის მოხდის შემდეგ კი 3 წლით აეკრძალა პედაგოგიური მოღვაწეობა. კანონსაწინააღმდეგო გზით მიღებული ფული 48 025 მანეთი სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა.

სურენ კნიაზიანს მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა ქონების კონფისკაციით, სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით.

ნინო ქვლივიძესა და სურენ კნიაზიანს ვაჟა ფშაველას ნათქვამს შევახსენებთ -- სულმოკლეს ნაბიჯიც მოკლე აქვს.

**ზაალ მესენზისერი,**
**საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენს ეზოებსა და სადარბაზოებში

ჩვენი დედაქალაქის ღირსების, მისი მწვანე განაშენიანების შესახებ მრავალჯერ თქმულა და დაწერილა; უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქის განაშენიანებაში გარკვეული წვლილი მიუძღვის თბილისის თითოეულ რაიონს, მაგრამ ჩვენს ლამაზ დედაქალაქს ამჟამად ჩრდილს აყენებს ქალაქის სანიტარულ დასუფთავებაში სერიოზული ნაკლოვანებები.

დღეს მთელი სიმკაცრით დგას საცხოვრებელი სახლების, სადარბაზოებისა და ეზოების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის საკითხი. ქალაქის ზოგიერთ დასახლებულ უბნებში ეს პრობლემა დადებითად არის გადაჭრილი, (ვაზის უბნის, ვარკეთილის და 5 დეკემბრის მიმდებარე ტერიტორიები). თვალს ახარებს კარგად მოვლილი ეზო თუ სადარბაზო. აქ აშკარად იგრძნობა მობინადრეთა ინტერესი, იცხოვრონ ლამაზ და მიმზიდველ გარემოში, ლალად ინავარდონ ბავშვებმა სათუთად მოვლილ სკვერებში, რომლებიც გაშენებულია მათი საცხოვრებელი სახლების წინ.

ამ სიკეთეს მოკლებულია 26 კომისრის რაიონში მდებარე ცხრასართულიანი სახლი (შაუმიანის მოედანი № 2). ქალაქის ცენტრში მდებარე ეს შენობა მნახველის ყურადღებას უსუფთაობით მიიქცევს. კორპუსის წინამდებარე ტერიტორია ნაგვის გროვითაა სავსე. ბუნკერები მოუვლელია, მომრავლდა აუარება ბუზი და კოღო, გაჩნდა მღრღნელები.' წინათ ამ სახლს სანეპიდსადგურის მუშაკები მეტ ყურადღებას აქცევდნენ. ზაფხულის პერიოდში თითქმის ორ კვირაში ერთხელ მაინც ამუშავებდნენ ბუნკერებს, მაგრამ ახლა მთლად მიივიწყეს. თვეში ერთხელ მაინც რომ ჩაეტარებინათ ბუნკერების სანიტარული დამუშავება, იქნებ ეკლო ბუზებისა და კოღოების რაოდენობას. არც სადარბაზოები გამოიყურება სახარბიელოდ. ასეთივე მდგომარეობაა ქვემოთ ჩამოთვლილი რაიონების ზოგიერთ დასახლებაში: გლდანის რაიონის II მიკრო რაიონი, 45 კორპუსი, მე-2 სადარბაზო; კიროვის რაიონის გორგასლის ქ. № 115-ში მდებარე საერთო საცხოვრებელი; კალინინის რაიონი: რუსთაველის გამზირი № 50-52-54. ლენინის რაიონი — ოქტომბრის ქ. № 152, I სადარბაზო; პირველი მაისის რაიონი — პლეხანოვის გამზირი № 104, მე-2 სადარბაზო; საქარხნო რაიონი — მოსკოვის გამზირი 33, მე-2 კორპუსი. თითქმის რამდენიმე სადარბაზო სამარცხვინოდ გამოიყურება ნაგვისა და სიბინძურის ფონზე. ოქტომბრის რაიონი, — ტოლსტოის ქ. № 11. ორჯონიკიძის რაიონი — ვაჟა-ფშაველას გამზირი VII კვარტ. VII კორპუსი; საბურთალოს რაიონი — პავლოვის 25-ა. ამ დასახლებებში საშინელი სუნი იგრძნობა გაუტანელი ნაგვისა და დაუმუშავებელი ბუნკერების გამო. სიცხისგან შეწუხებული მობინადრეები ფანჯრებს ვერ აღებენ ბუზების შიშით და ჩივიან მომრავლებულ მღრღნელებზეც.

სადარბაზოების და ეზოების დასუფთავების საკითხის დადებითად გადაჭრა, რა თქმა უნდა, ეხება საბინაო-საექსპლოატაციო ორგანიზაციას, სანეპიდსადგურს, დასუფთავების კანტორას, მაგრამ მთლად მაყურებლის როლში არ უნდა დარჩნენ მობინადრეები, რომელნიც ვალდებულნი არიან თავადაც დაიცვან სანიტარული წესები და არ დაანაგვიანონ თავიანთი საცხოვრებელი გარემო, — ეზოები და სადარბაზოები.

**გელა ზაუტაშვილი**

დ. იაკობაშვილის ფოტოები.



შაუმიანის მოედანი № 2






რუსთაველის გამზირი № 50, 52, 54

ეროვნული ბიბლიოთეკა



როსიცა ნიკოლაევა



# ტორტის რეცეპტი

სტამენკო პეტროვი „დიქტატორი“ იყო საკუთარ ოჯახში, თუმცა თავისი ტირანობით, ცხადია, ახლოსაც ვერ მივიდოდა იულიუს კეისართან ან ნაპოლეონ ბონაპარტესთან. ნამდვილი დიქტატორისაგან მას, უპირველესად, ის განასხვავებდა, რომ მუდამ იტანჯებოდა. მისი მოსაწონი არაფერი იყო, ისე ვერ ემსახურებოდნენ, როგორც ეამებოდა. ცოლსაც თითქმის იმედი გადაეწურა, ძალიან კი ცდილობდა ქმრისათვის ეამებინა, მაგრამ არ გამოსდიოდა, — ხან კერძს აკლდა მარილი, ხან კიდევ შარვალს დაუთოება. სტამენკო გაუთავებლად ბუზღუნებდა და სულს ხდიდა მთელ ჯალაბობას.

მოულოდნელად სტამენკომ, თითქოს გამოცვალესო, — ბუზღუნი შეწყვიტა. შინაურებს არ სჯეროდათ და ერთმანეთს ეკითხებოდნენ, ნუთუ დიდხანს გასტანს ეს საეჭვო სიწყნარეო.

სტამენკოს ხასიათის შეცვლის მიზეზი უბრალო იყო: ქალი შეუყვარდა. ეს იყო შეყვარება, რომელსაც ვეცნობით პოპულარულ საესტრადო სიმღერა „ტელეფონით სიყვარულში“.

სტეფკას (ეს სახელი ერქვა მისი გულის რჩეულს) ტელეფონის ნომერი აერია და სტამენკოსთან გასაუბრება მოუხდა. ერთ სიტყვას მეორე მოჰყვა და მათ შორის დიალოგი გაიბა. ბოლოს მხარეები შეთანხმდნენ, რომ სასიამოვნო იქნებოდა კიდევ თუ დაელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. აქედან დაიწყო ყველაფერი...

ერთ მშვენიერ დღეს სტამენკოს ცოლი — დორა სამსახურიდან დაბრუნდა და შელებულ კარშივე გაშეშდა. შუა სამზარეულოში წინსაფრიანი მისი ქმარი იდგა, ხელში ლანგარი ეჭირა, რომელზეც ახალგამომცხვარი კექსი იდო. კექსი გამაბრუებელ სურნელს აფრქვევდა. დორას სახეზე ისეთი გაოცება გამოეტეხა, რომ ასე მხოლოდ სხვაპლანეტელ არსებათა გამოჩენა თუ გააკვირვებდა. სტამენკომ ცოლს უთხრა, კექსის საუცხოო რეცეპტი ვიშოვეო და რომ დაუყოვნებლივ მისი გამოცდა გადაწყვიტა. „თანაც, — გესლიანად შენიშნა, — ვერ დავიჯერებ, რომ შენც შეგეძლოს ასეთი რამ“...

ამასობაში დორა გონს მოეგო, რეცეპტის ქაღალდი აიღო, წაიკითხა და თქვა:

— კი, მაგრამ, ეს ხომ ზუსტად ჩემი რეცეპტია...

— რასა ბრძანებ, შენ ასეთ კექსს ვერასოდეს ვერ გამოაცხობ.

რამდენიმე დღის შემდეგ შინაურებს ახალი სიურპრიზი ელოდათ. სტამენკომ (სტეფკა უკვე გადასულიყო საალერსო სახელზე) სრულიად ახლებური რეცეპტით მოამზადა წვნიანი კერძი, ცოლმა კვლავ უდიერად განაცხადა, რომ კარგახანია ვიყენებ ამ რეცეპტსო.

კიდევ უფრო თავზარდამცემი გამოდგა სტამენკოს მორიგი სახეცვლილება. ჩვენმა გმირმა დორა აიძულა გაოცების ოხვრა აღმოხდენოდა, როცა დაინახა, რომ მის ქმარს ულვაში გაეპარსა, რასაც ცოლი ხშირად, მაგრამ უშედეგოდ ითხოვდა. მკითხველი ალბათ მიხვდება, რომ აქაც უცნობი და იდუმალი სტეფკას ხელი მოქმედებდა. სტამენკო, ასრულებდა რა თავისი დაუსწრებელი „შეყვარებულის“ სურვილებსა და რჩევებს, ალტაცებით აკეთებდა ისეთ რამეებს, რაზეც წინათ კატეგორიულ უარს ამბობდა, თუმცა ცოლი დაჟინებით სთხოვდა.

ასე გადიოდა დრო.

„ტელეფონით სიყვარული“ იფურჩქნებოდა და ფრთებს ისხამდა.

მაგრამ დადგა წუთი, როდესაც (სხვათაშორის, ზემოთნახსენები სიმღერის გმირიც ჩიოდა, „ტელეფონით სიყვარული არ კმარა“ და მალე სატრფოს უნდა ჩავეკონოო), სტამენკომ განუცხადა სტეფკას, აუცილებლად უნდა შევხვდეთ ერთმანეთსო. სტეფკა შიშობდა, სტამენკო ვერ მიცნობს, თუ თან არ ვიქონიე რაიმე ნიშანი, მაგალითად, გაზეთი „ერის კულტურაო“. სტამენკო კი ირწმუნებოდა, ნიშანი რა საჭიროა, ისეც ვიცნობ ჩემს ღვთაებას, რადგან არც თუ ისე ბევრია ქერათმიანი და ზურმუხტისფერთვალებიანი ქალი, ანუ სწორად ისეთი ტიპი, რომელიც ყველაზე მეტად მომწონსო. ბოლოსდაბოლოს, მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა. გადაწყდა, რომ სტეფკა ხელში დაიჭერდა გაზეთ „კრაზანას“, რომელსაც მარცხენა კუთხე ჩაკეცილი ექნებოდა.

დადგა ღირსშესანიშნავი დღე.

სტამენკო ისე მიჰქროდა პაემნის ადგილისკენ, რომ მიწას ფეხს არ აკარებდა. და უეცრად... საკუთარი ცოლი დაინახა. მაშინვე თვალში ეცა გაზეთი „კრაზანა“, რომელსაც მარცხენა კუთხე ჩაკეცილი ჰქონდა. დიახ, ეს მისი დორა იყო, — ქერათმიანი, ზურმუხტისფერთვალებიანი ქალი (მისი საყვარელი ქალის ტიპი). მის ტუჩებს ჯოკონდას იდუმალი ღიმილი გადაჰფენოდა. დაბნეული სტამენკო ხან გაზეთს შეავლებდა თვალს, ხან კიდევ ღიმილს, ცოლის სახეს რომ ანათებდა. მაშინ ცოლი მიუახლოვდა მას და ნაზად უჩურჩულა ყურში:

— ახლა ხომ მიხვდი, შე აბდალავ, რატომ გეკითხებოდი, ვერა მცნობ მეთქი. ჰოდა, შინ წავიდეთ, ჩემო საყვარელო!

სტამენკო პეტროვი მორჩილად მიჰყვა ცოლის კვალს. ყოფილი ტირანი და დესპოტი, ყოფილი დიქტატორი, ახლა.... თუმცა ეს სხვა მოთხრობის თემაა.

თარგმნა მაყვალა კუპრავამ





# ჩვენი კარგი მეზობელი

სანზონის დასახლების მე-11 ბ კორპუსის წინ გამვლელი კაცი აუცილებლად შენიშნავს მეორე სართულის აივანზე გადმომდგარ უკვე ხანში შესულ სათნო და სხივიანი სახის ქალს, რომელიც საოცარი დაკვირვებით, გულმოდგინებით და ზრუნვით გასცქერის ეზოში მოთამაშე ბავშვებს და სიყვარულით შეეხმიანება ხოლმე ყველა მათგანს. ფხიზლად დარაჯობს, დიდმა პატარა არ დაჩაგროს, „მდგომარეობით“ გაყოყოჩებულმა ბავშვმა თავმდაბალი არ დაიჯაბნოს. უწესობა არ ჩაიდინონ... ეს ქალი ჩვენი საყვარელი მეზობელი ელისაბედ მამაცაშვილი-შუბლაძეა, რომელსაც სიყვერულით ყველა ბებო ლიზას ეძახის. ბებო ლიზას ცხოვრება ყველასათვის მისაბაძი მაგალითია. ქმრისა და სამი ვაჟის პატრონი დღედაღამ მოუსვენარი შრომით უზრუნველყოფდა ოჯახს და სხვათა ჭირისა და ლხინის გასაზიარებლად დროსაც შოულობდა და საშუალებასაც. იგი მთელი 25 წლის მანძილზე პატიოსნად და მოვალეობის გრძნობით ემსახურებოდა სკოლამდელთა კეთილშობილურ აღზრდის საქმეს ქ. თბილისის 90-ე საბავშვო ბაღში. სპეციალობით ექთანი, სამედიცინო პირველი დახმარების ბრწყინვალე ოსტატი ელისაბედ შუბლაძე — „ლიზა ბებო“, ყველას სული და გული იყო ბაღში. იგი თითოეული ბავშვისა თუ დიდის ჯანმრთელობასა და სიკეთეს დარაჯობდა. ეს თვისება, ჩანს, მემკვიდრეობით ჰქონია მიღებული თავისი დედის — პელაგია რამინიშვილი-წერეთლისგან და მისი მამა-პაპისაგან, რომელთაც თავის დროზე სოფლის უპატენტო ექიმებს ეძახდნენ გლეხები და რომელთა სახელიც დღესაც კეთილმოსაგონრად აქვთ რუისელებს. პელაგია რამინიშვილს ექიმის მოსვლამდე ბევრი ავადმყოფი უხსნია მძიმე მდგომარეობიდან. ბევრისათვის განკურნების იმედი ჩაუნერგავს და ბევრისათვის უშველია.

დღეს ლიზა აგრძელებს დედის კეთილშობილური ცხოვრების გზას.

საბავშვო ბაღიდან გამოყოლილი ბავშვებისადმი ნაზი და სპეტაკი სიყვარული აზრს აძლევს მის ცხოვრებას. არამც თუ ჩვენი, არამედ მეზობელი კორპუსის მცხოვრებლებს მშობლიური სიყვარულით დასტრიალებს თავს, გაჭირვებაში შველის და დახმარების ხელს უწვდის. რომ იტყვიან, „პირიდან ლუკმას იღებს“, ოღონდ კი სხვის მწუხარებას სალბუნი სცხოს. თუ რომელიმე ბავშვის ფერი ან გუნება-განწყობა არ მოეწონება (მის მახვილ თვალს კი ასეთი რამ არ გამოეპარება), დაუძახებს მშობელს, რჩევას მისცემს, დააკვირვებს მისი შვილის ავადმყოფურ მოვლენებზე, დააკვალიანებს (თან ბავშვს ვიტამინით შეზავებულ ნაყენს დაალევინებს, ხასიათს გამოუკეთებს და მადას გაუხსნის) და პირდაპირ „უბრძანებს“, ბავშვი ექიმს აჩვენეო. მერე და რა?! თქვენ გგონიათ ტყუილად? უმეტეს შემთხვევაში ქალბატონი ლიზა მართალი აღმოჩენილა... და ბავშვის მშობლებიც უსაზღვროდ მადლიერნი დარჩენილან.

ჩვენს მეზობლობაში ხშირად გაიგონებთ: „ლიზა ბებოს დაუძახეთ, ლიზა ბებოს ჰკითხეთ“. ქალბატონი ლიზაც დასახმარებლად მუდამ მზად არის. მას ჩინებულად ემარჯვება პირველი სამედიცინო დახმარების გაწევა. მისი გაწაფული ხელი რამდენიმე წუთში აჩერებს ყოველგვარ სისხლის დენას. ეხერხება კომპრესებისა და საფენების ხმარება, ხშირად მასაჟებითა თუ დაზელვის საშუალებით უხსნის ავადმყოფს მოულოდნელად აშლილ ტკივილებს.

საოცარია, როცა ეზოში ხელნატკენი ან ფეხნატკენი ბავშვი მეორე ბავშვს ფაცხაფუცხით ლიზა ბებოსთან მოარბენინებს ხოლმე: ბებო ლიზა, გვიშველეთო და ისიც ჭრილობას მოუბანს, მოუწმენდს, შეუხვევს და, მშობლებიც რომ ვერ გაიგებენ, ისე მოაწესრიგებს და შეასრულებს ყველაფერს, რაც საჭიროა.

„ჩემი მიზანი იყო და იქნება გაჭირვებულს ვუშველო. დავრდომილს ხელი გავუწოდო“ — ამბობს თავად და მართლაც, იგი მხოლოდ იმისათვის ცხოვრობს, რომ სიკეთე თესოს, ნუგეში და ყურადღება არ მოაკლოს ადამიანებს.

საინტერესო ცხოვრება აქვს გავლილი ამ დიდად კაცთმოყვარე ქალს. მისთვის არ არსებობს „ჩემი“. მისთვის ყველაფერი „ჩვენია“, ადამიანების, ყველასი. საზოგადო ისე შერწყმია მის სულს, რომ ვერ ახერხებს წინა პლანზე არ დააყენოს იგი. თავისი შვილებისა და შვილიშვილების გვერდით ისე ტკბილად და სიყვარულით მოიხსენიებს ხოლმე მეზობლებს, ყველას უმრავლოს ასეთი კარგი, კეთილის მსურველი.

მ. გაჩეჩილაძე

რედაქციისაგან: წერილს ასაწყობად რომ ვაგზავნიდით, გვაცნობეს, რომ ქალბატონმა ელისაბედ (ლიზა) შუბლაძემ ჩერნობილის მისამართით თავისი ერთი თვის პენსია (100 მან.) გადაგზავნა.

გარეკანის პირველ გვერდზე — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მედეა ჯაფარიძე; მეოთხეზე — უკრაინელი ბავშვები ცხვარიჭამიაში.

დ. იაკობაშვილის ფოტოები

მთავარი რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

Главный редактор МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია: ნ. გაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ლ. კაკაბაძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. ქვანია, პ. ქლენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. ჩეჩირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, 380096. Тбилиси, Ленина, 14.
Адрес редакции: 380096, Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივანი — 99-71-68, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54, გადაეცა ასაწყობად 4. 07. 86 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12. 08. 86 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,8.
Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 5,8. ტირაჟი 145.000. შეკვ. 1638 უე05131

მხიარული დასვენება.

ვ. გენგიურის ფოტო.





611/154









ფასი 80 კაპ.